

# ახალი ბუნათმეტყველება

27 ოქტომბერი - 2 ნოემბერი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№32 (746) ბაზრობის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



## ბორის აკუნინის თბილისური სალამო

„დღეს ცოტა უცნაურად ვგრძნობ თავს, მრავალი მიზეზის გამო. თბილისში რომ ინგლისურად უნდა ვილაპარაკო, ეს ეგზოტიკაა, აბა, რაა (ინგლისური ხომ ჩემი მშობლიური ენა არაა). საერთოდ, სიტუაციის უცნაურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ეს ჩემთვის ჩვეულებრივი საუბარი არ არის იმიტომ, რომ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქმის საიდანაღაც დავკრუნდი იმ, სადაც აღწე არასოდეს ვყოფილვარ.... ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, ამ ბოლო დრომდე ქართულად მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვიცოდი - სიყვარული და საწყალი. ვფიქრობ, რომ მწერალს, პრინციპში, მეტი არც სჭირდება რომ იცოდეს, რადგან ძირითადად ამაზე წერს, რადგან ცხოვრება სულ ესაა - სიყვარული ძალიან საწყალი რამეა.“

გვერდი 6

საინფორმაციო პროექტი

## ელექტრონული ჟურნალი – გამარტივებული გზა ნიშნების გამოსაყვანად

გვერდი 2

**ხელმოწერითა საყურადღებოდ!**

**დაწყებითი კლასების  
პედაგოგებს!**

წიგნი მოზადდა დაწყებითი კლასების  
მასწავლებლების საჭიროების  
გათვალისწინებით.  
ის მოიცავს:

1. საგნობრივ, თეორიულ მასალას
2. ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს

**დაწყებითი კლასების მასწავლებლებს  
დაეხმარება საგნობრივი გამოცდისთვის  
მოზადებაში**


ცნობარი დაწყებითი კლასების  
პედაგოგებისთვის

ქართული  
მათემატიკა  
ბუნება

14 ლარი

წიგნის  
თარი

წერილები ფრონტიდან



## ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი დოკუმენტური პროექტი

გვერდი 8

## საპილოტა პროექტი

# ელექტრონული შურნალი – გამარტივებული გზა ნიშნების გამოსავლენად

ლალი ჯელაძე

საკლასო შურნალს ელექტრონული შურნალი ჩაანაცვლებს, წელს პროექტი საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს და მასში 400-მდე საჯარო სკოლაა ჩართული. ელექტრონული შურნალის დანერგვა სკოლებში რამდენიმე წლის წინ იგეგმებოდა, თუმცა, როგორც Emis-ში განაცხადეს, ამ დრომდე იმ მიზეზით ვერ მოხერხდა, რომ მითითებულ პერიოდში განხორციელდა პილოტის შედეგების ანალიზმა აჩვენა – მაშინდელი სისტემის ტექნიკური გადაწყვეტა არ იყო ოპტიმალური.

სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა ელექტრონული შურნალის მოდიფიცირების აუცილებლობა და, მოდიფიცირების გარდა, ელექტრონული შურნალის ახალ სისტემაში (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემა) ინტეგრაცია, რომელიც 2015 წლის იანვრიდან ამოქმედდა და წარმოადგენს დაინერგა საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

შევეცადეთ განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრში გაგვეჩვენოთ – როგორ დაგვამდგება ნიშნები და რა მოდულებისგან შედგება ელექტრონული შურნალი, რომელმაც ყველასთვის კარგად ნაცნობი პროცესი კი სრულად ავტომატიზებულია, განსხვავებით მატერიალური შურნალისგან. ამის უზრუნველსაყოფად სისტემაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნიშნების კალკულაციის მოდული, რომელიც, ეროვნულ სასწავლო გეგმით დადგენილი წესის შესაბამისად, ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლისათვის საგნის სემესტრული, წლიური და საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშებას. საჭიროებისამებრ, სისტემა საშუალებას იძლევა, საგნის წლიური ქულის კალკულაციისას, გათვალისწინებული იქნეს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული წლიური გამოცდის შედეგებიც (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ნიშნების კალკულაციის შედეგად, სისტემა ავტომატურად განსაზღვრავს ექსტრენის გამოცდების ჩაბარების საჭიროებას საბაზო-საშუალო საფეხურის იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც გადაციდნენ, კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი, საათების 30% და მეტი.

ელექტრონულ შურნალში, ასევე, გათვალისწინებულია სპეციალური მოდული მშობლებისთვის, რომელიც საშუალებას მისცემს მათ რეალურ დროში მიაღწეონ თვალი შვილების შეფასებებსა და გაცდენებს; იხილონ ინფორმაცია სახელმძღვანელოების, საგაკვეთილო განრიგის, დავალებების შესახებ; ჰქონდეთ კომუნიკაცია დამრიგებელთან, საგნის მასწავლებლებთან და ა.შ. ამ მოდულზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს და ხელმისაწვდომი ოდნავ მოგვიანებით, 2017 წლიდან, გახდება. სურვილის შემთხვევაში, მშობლებს ასევე შეეძლება ისარგებლონ მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისით.

ელექტრონული შურნალის დანერგვის პირველი ეტაპის ფარგლებში, 2016-2017 სასწავლო წლიდან, სისტემით სარგებლობის შესაძლებლობა, მატერიალური შურნალის პარალელურად, 400-მდე საჯარო სკოლა ექნება. ეს ის სკოლებია, რომელთაც თავად გამოთქვეს პილოტში მონაწილეობის სურვილი. საპილოტე სკოლების მასწავლებლებს, სისტემის გაცნობისა და გამოყენების სწავლების მიზნით, თემატური ტრენინგები ზაფხულში ჩატარდა და რეალურად, სწავლის დაწყებას მზად შეხვდნენ.

ელექტრონული შურნალის დანერგვის პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთაც თავად გამოთქვეს პილოტში მონაწილეობის სურვილი. ამჟამად, საქართველოს მასშტაბით, ასეთი 700-მდე საჯარო სკოლაა.

ბუნებრივია, იმისთვის, რომ ელექტრონული შურნალი ყველა სკოლაში დაინერგოს, საჭიროა მასწავლებლებს ჰქონდეთ საკლასო ოთახებში ინტერნეტსკელში ჩართული კომპიუტერი. როგორც Emis-ში აცხადებენ, საქართველოს ყველა საჯარო სკოლას აქვს ერთიან საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში ჩართული კომპიუტერული ლაბორატორია და უზრუნველყოფილია ინტერნეტით. აქედან გამომდინარე, ელექტრონულ შურნალთან წვდომა შესაძლებელია მხოლოდ სკოლიდან ერთიან საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან. ამის გარდა, სკოლებში არსებული IT ინფრასტრუქტურის ბაზაზე, ყოველწლიურად, წარმატებით ტარდება სკოლის გამოსაშვები საატესტაციო გამოცდები, ექსტრენების ცენტრალიზებული გამოცდები XII-კლასელთათვის და სხვა არაერთი პროექტი, რომელიც განხორციელების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენებას ითვალისწინებს. როგორც გაირკვა, სკოლებში არსებული კომპიუტერული პარკის განახლების უზრუნველსაყოფად, გარკვეული პერიოდულად, კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაც ხორციელდება. მართვის საინფორმაციო ცენტრში აცხადებენ, რომ მიუხედავად ამისა, თუკი რომელიმე სკოლაში კომპიუტერების არასაკმარისი რაოდენობა მაინც იქნება, ამ ფაქტს აუცილებლად გაითვალისწინებენ სამომავლოდ.

ელექტრონული შურნალის დადებითი და უარყოფითი მხარეებზე საპილოტე რეჟიმში მყოფი ქუთაისის 36-ე საჯარო სკოლის დირექტორი **თენგიზ თაბუკაშვილი**, ჩვენთან საუბ-

რისას, აღნიშნავს, რომ პილოტირების რეჟიმში სკოლის ჩართვაზე უწყობანოდ დათანხმდა, რადგანაც მიაჩნია, რომ სიახლის დანერგვას ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან მასწავლებლები, პილოტირების რეჟიმში კი, გაცილებით გაუადვილებათ ნებისმიერი სიახლის მიღება. სკოლაში, სადაც 780 მოსწავლე და 55 მასწავლებელია, გადაწყვიტეს, ელექტრონული შურნალის პარალელურად, პედაგოგებმა „ბლოკნეტში“ ან საკლასო შურნალებში შეიტანონ ყოველდღიური ინფორმაცია ნიშნებისა თუ გაცდენების შესახებ და შემდეგ, კვირის ბოლოს, გადაიტანონ ელექტრონულ შურნალში. თუმცა, როგორც ბატონი თენგიზი ამბობს, ჰყავთ მასწავლებლები, რომლებსაც ყოველდღიურად შეაქვთ ინფორმაცია და არ ელოდებიან კვირის ბოლოს, ამაში შეზღუდულები არ არიან. ერთადერთი სავალდებულო მოთხოვნაა, კვირის დასაწყისში, ორშაბათს ან სამშაბათს, დანიშნონ შემაჯამებელი წერა, რადგანაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, შემაჯამებელი წერის გასწორება 3 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს. სწორედ ეს აჩენს უხერხულობას – თუ მასწავლებელმა ორშაბათს ან სამშაბათს არ შეარჩია შემაჯამებელი წერის ჩატარების დღეობა, მაშინ ვეღარ მოასწრებს ნიშნის შეტანას ელექტრონულ შურნალში პარასკევს ან ორშაბათს (პროგრამა აძლევს საშუალებას, რომ პარასკევის ნიშანი ორშაბათსაც შეიტანოს). ითხშაბათს ან ხუთშაბათს დანიშნული შემაჯამებელი წერის ნიშნების შეტანა, პრაქტიკულად, შეუძლებელი ხდება. ამ უხერხულობის გარდა, როგორც ბატონი თენგიზი უნობებს, სხვა უარყოფითი მხარე ჯერჯერობით ელექტრონულ შურნალის შევსებისას არ გამოვლენილა. ამბობს, რომ როგორც კი სკოლა დათანხმდა საპილოტე რეჟიმში ჩართვას, შევსებულებაში გასვლის მეორე დღესვე, 8 ივლისს, მასწავლებლებს, ელექტრონული შურნალის წარმომავლსა და დაკავშირებით, ტრენინგი ჩატარეს. ამის შემდეგ კი, ზაფხულის განმავლობაში, მათ ჰქონდათ საშუალება, თვითონ ემუშავათ, რათა კარგად დაუფლებოდნენ იმ უნარებს, რასაც ელექტრონული შურნალის წარმოება მოითხოვს.

მასწავლებლებს ელექტრონული შურნალის დანერგვით საქმე უადვილებდათ თუ პირიქით? 36-ე სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულება ამ სიახლისადმი ასეთია – მათთვის გაცილებით გაიოლებულია საქმე, პროცედურულად თუ ტექნიკურად, ელექტრონული შურნალის შევსება იოლია და, რაც მთავარია, პროგრამას თვითონ გამოჰყავს ნიშანი, რაც მასწავლებლებისთვის ძალიან დიდი შედეგია – ეს არის გამართული გზა ნიშნების გამოსაცხადად.

სისტემაში დაცულია უსაფრთხოების შესაბამისი ნორმები, რაც გამორიცხავს არასანქცირებულ შეღწევას. პილოტის ფარგლებში სისტემაში ნიშნის/გაცდენის დასაფიქსირებლად, განსაზღვრულია ერთკვირიანი პერიოდი. რაც შეეხება მოსწავლეებს – ამ ეტაპზე ელექტრონული შურნალი მათთვის ხელმისაწვდომი არ არის.

შურნალის წარმოებაზე მონიტორინგს სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი ლევა გრძელიძე იწარმოებს. სკოლას 30 კომპიუტერი აქვს, რომლებიც განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. ლაბორატორიას თავისი მეთვალყურე და ხელმძღვანელი ჰყავს. მასწავლებლებს სწორედ აქ შეჰყავთ ნიშნები თუ გაცდენები.

**ლევა გრძელიძე** ქმისა და ბიოლოგიის სერტიფიცირებული მასწავლებელია და გარდა იმისა, რომ თვალს ადევნებს სხვა მასწავლებლებს, როგორ ავსებენ ელექტრონულ შურნალს, თვითონაც უნებს მისი შევსება. ამბობს, რომ: „ტექნიკურად ელექტრონული შურნალის წარმოება რთული არ არის, მაგრამ მცირე სირთულეს ის ქმნის, რომ ამ დროისთვის ყველა საკლასო ოთახში არ გვაქვს კომპიუტერი და ინტერნეტი. აქედან გამომდინარე, ელექტრონულ შურნალთან წვდომა არ გვაქვს გაკვეთილზე, ამიტომაც, პარალელურად, გვინებს ე.წ. „ბლოკნეტში“ ჩანაწერების კეთება ან საკლასო შურნალის წარმოება.“

სურვილია, ეს ინფორმაცია სპეციალურ რესურსოთახში განთავსებულ კომპიუტერებში უნდა შევიტანოთ. ეს ცოტა ართულებს ვითარებას, თორემ ტექნიკურად ძალიან მარტივი პროცედურაა შესასრულებელი. მეტიც, ჩვენივე უფრო გაიოლებულია საქმე იმ თვალსაზრისით, რომ იქვე გვინებს შუალედური ნიშნისაც, ანუ პროგრამას თვითონ გამოჰყავს ნიშანი. ეს ძალიან კარგია, რადგან უკვე ვიცით თითოეული მოსწავლის საბოლოო ნიშანი საით მიდის, ანუ რა ნიშნით ფასდება ის. თუკი მიგვაჩნია, რომ ეს მისი შესაბამისი ნიშანი არ არის, ვცდებით, მივცით განმავითარებელი შეფასება, რომ საბოლოოდ შევასება აინიოს.“

ელექტრონული შურნალი კარგია იმიტომაც, რომ მშობლებსაც აქვთ ყოველდღიური ინფორმაცია, ყოველდღე შეუძლიათ ნახონ შვილების ნიშნებიც და გაკვეთილებზე დასწრებაც. თუმცა, ჩემი აზრით, ამას მეორე, არც თუ სახარბილო, მხარეც აქვს – მშობლები ისედაც იშვიათად დადიან სკოლაში და ახლა, ალბათ, უფრო იშვიათად მოვლენ. შესაძლოა, ეს მცდარი მოსაზრებაა და პირიქით, უფრო გააქტიურდნენ, როცა თვალს მიაღწევენ ნიშნებს და გაცდენებს. პრინციპში, პილოტირება ახალი დაწყებულია და მიმდინარეობისას გამოიკვეთება დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთი კი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, შეცდომებისგან, რაც მასწავლებლებს ნიშნის გამოყვანისას მოსდიოდათ, ახლა დაზღვევები ვართ, რადგანაც ეს ყველაფერი პროგრამულად ჯამდება.

ერთადერთი, ძალზე კარგი იქნება, თუკი მოხერხდება და ყველა საკლასო ოთახში იქნება ელექტრონულ შურნალთან

წვდომა. ამ დროისთვის ეს კიდევ ერთ სირთულესთანაა დაკავშირებული, თავს იჩენს პრობლემა, რომლის მოგვარებაც სკოლას საკუთარი სახსრებით არ შეუძლია. საკლასო ოთახებში კომპიუტერების გატანა მისი დაკარგვის ალბათობასაც გააჩენს. სკოლას ნამდვილად არ აქვს იმის ფინანსური რესურსი, რომ აიყვანოს დაცვის პოლიცია და ამით მინიმუმამდე შეამციროს კომპიუტერების დაკარგვის საშიშროება.“

„სკოლაში ყველა რგოლს თავისი მისია აქვს, დამრიგებლის საშუალებით ვიგებთ რამდენად ხშირად ამოწმებენ მშობლები შვილების ნიშნებსა თუ დასწრებას გაკვეთილებზე“ – ამბობს ბატონი თენგიზი და გამოიხატავს შემთხვევებს, როცა მასწავლებელი, კვირის განმავლობაში, შეუვსებელს დატოვებს ელექტრონულ შურნალს. ამით გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება მასწავლებელს, რადგან ის პედაგოგი, რომელიც კვირის განმავლობაში არ განახლებს მონაცემებს, ინფორმაციას, ავტომატურად ეჭვის ქვეშ დგება, რომ მან რეალურად გადაციდა გაცდენები. ასეთი მიდგომა ბატონი თენგიზი მასწავლებელს ვალდებულს ხდის, ელექტრონული შურნალი მითითებულ ვადებში განახლოს ინფორმაცია.“

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსს, **ლამა ვერულაშვილს** ვთხოვეთ განმარტება – რა არის ელექტრონული შურნალის დანერგვის მიზანი და ერთგვარი ინსტრუქცია მასწავლებლებისთვის – როგორ აწარმოონ, რა ინფორმაცია შეიყვანონ და რა პერიოდულად განახლონ?

„ელექტრონული შურნალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტია. სისტემის შექმნის მთავარი მიზანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფაა, რაც გულისხმობს ზუსტი მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, ონლაინ რეჟიმში განახლებასა და ანგარიშგებას.“

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული შურნალის პირობებში მასწავლებლებს მხოლოდ გაცდენებისა და შეფასებების აღრიცხვა უნევთ, ნიშნების გამოთვლის პროცესი კი სრულად ავტომატიზებულია, განსხვავებით მატერიალური შურნალისაგან. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სისტემაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნიშნების კალკულაციის მოდული, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესის შესაბამისად, თითოეული მოსწავლისათვის, ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს საგნის სემესტრული, წლიური და საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშებას.

სისტემის საშუალებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია და პედაგოგები შეძლებენ, დროის სასურველი პერიოდის შესაბამისად, იხილონ მოსწავლეთა დასწრებისა და აკადემიური ნიშნების შესახებ ინფორმაცია, გააკეთონ სრულყოფილი ანალიზი განსხვავებული პერიოდების შედარების გზით და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული პროცესების ავტომატიზაცია, დაეხმარება მასწავლებელს და მნიშვნელოვნად დაზოგავს მის დროს რესურსს.

ელექტრონულ შურნალთან წვდომა, მიმდინარე ეტაპზე, შესაძლებელია მხოლოდ სკოლიდან, ერთიან საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან. ელექტრონული შურნალის წარმოება, ისე როგორც ეს მატერიალური შურნალის შემთხვევაშია, ყველა საგნის პედაგოგზე ვრცელდება. რაც შეეხება პერიოდულობას, პილოტის ფარგლებში, სისტემაში ნიშნის/გაცდენის დასაფიქსირებლად განსაზღვრულია ერთკვირიანი პერიოდი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასწავლებლებს მხოლოდ გაცდენებისა და შეფასებების აღრიცხვა უნევთ.“

ელექტრონული შურნალი გათვალისწინებულია სპეციალური ველი მშობლებისთვის. რას გულისხმობს ეს და შეუძლიათ თუ არა მათ ყოველდღიურად ადევნონ თვალი შურნალს, სადაც მათი შვილების ნიშნები და გაცდენები ფიქსირდება? ოფიციალური მონაცემების გარდა, შესაძლებელია თუ არა ელექტრონული შურნალით მშობლებთან კონტაქტი და ყოველდღიური ინფორმაციის მიწოდება მისი შვილის შესახებ?

ელექტრონულ შურნალში მშობლებისთვის გათვალისწინებულია სპეციალური მოდული, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, რეალურ დროში მიაღწეონ თვალს შვილების შეფასებებს, გაცდენებს, იხილონ ინფორმაცია სახელმძღვანელოების, საგაკვეთილო განრიგის, დავალებების შესახებ, ჰქონდეთ კომუნიკაცია დამრიგებელთან, საგნის მასწავლებლებთან და ა.შ.

ამჟამად აღნიშნულ მოდულზე მუშაობა მიმდინარეობს, ხელმისაწვდომი კი ოდნავ მოგვიანებით, 2017 წლიდან, გახდება. სურვილის შემთხვევაში, მშობლებს ასევე შეეძლება ისარგებლონ მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისით.“

ვის დააკვირდება პროცესს, როგორ მიმდინარეობს სკოლებში პილოტირება და იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლები ვერ გაართმევს ელექტრონული შურნალის სწორად წარმოებას თავს, ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა? – ამის შესახებ Emis-ში ამბობენ, რომ სისტემის წარმატებული დანერგვისა და ფუნქციონირების მიზნით, განსაზღვრულია პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგის და შეფასების სხვადასხვა ღონისძიებები: სისტემის ფუნქციონირების ტექნიკური მონიტორინგის განხორციელება, მონიტორინგის პროცესში სისტემის ფუნქციონირების პარამეტრებზე შეგროვებული ინფორმაციის სისტემის საპროექტო მაჩვენებლებთან შედარება, შესაძლო პრობლემების გამოვლენა-რეაგირება და სხვ.

ქართული როგორც მეორე ენა

ახალი შესაძლებლობა ქარიერული წინსვლისთვის

ანა ფიცხვანიშვილი

პედაგოგები, რომლებიც დროდადრო გვეხმებიან ხოლმე სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა თუ კახეთის რეგიონებიდან და არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების შესახებ გვწერენ, განსაკუთრებულ ინტერესს იმ დიდი მისიის გამო იწვევენ, რაც სახელმწიფომ მათ დააკისრა - ქართული ენის სწავლება ეთნიკური არაქართველი საქართველოს მოქალაქეებისთვის. რთული იყო ამ გზის დასაწყისი. სირთულეებია დღესაც, მაგრამ უკვე სხვა სახის.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ამ ეტაპზე ბუნებრივად დადგა დღის წესრიგში არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგთა მომზადების აუცილებლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და ქარიერული ზრდის სქემაში ჩასართავად. სწორედ ამ აუცილებლობის გათვალისწინებით იცვალა სახელი ქართული ენის სახელმწიფო პროგრამამ, რომელიც რამდენიმე პროექტს აერთიანებდა და ეწოდა არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა. ბუნებრივია, რომ პროცესში ჩაერთვნენ 7 წლის წინ წარგზავნილი, პროგრამის გამოცდილი მონაწილე პედაგოგები, რომელთა როლი განსაკუთრებული მნიშვნელობისა არაქართულენოვანი კოლეგების პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში. არაფორმალურად ისინი ამ მისიას, შვიდი წლის განმავლობაში, ისედაც ასრულებდნენ, თუმცა მათ საქმიანობას, ახალი ნიუანსების დამატებით, უფრო მიზანმიმართული ხასიათი მიეცა.

პროფესიული განვითარებისა და ქარიერული ზრდის საშუალება უნდა მიეცეს ჩვენი ქვეყნის უკლებლივ ყველა პედაგოგს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. სქემის მოთხოვნებს, ბუნებრივია, დახმარების გარეშე ისინი ვერ დააკმაყოფილებენ, იმ მიზეზის გამო, რომ არ ფლობენ სახელმწიფო ენას. ამ ეტაპზე პროგრამის მთავარი ამოცანა მათთვის ამ პრობლემის მოგვარებაში დახმარებაა. - გვეუბნება პროგრამის მენეჯერი თამარ კეკელიძე. - წინა ორი პროექტი - ქართული როგორც მეორე ენა (2009 წ.) და ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის (2011 წ.) გულისხმობდა კვალიფიკაციური და, მინიმუმ, ბაკალავრის ხარისხის მქონე ქართულის მასწავლებლების მივლინებას არაქართულენოვან სკოლებში სავაკეტილო საათების ჩასატარებლად. მათი საქმიანობის ეფექტურობაზე განვლილი შვიდი წელი მეტყველებს, ძალიან კარგი შედეგი გვაქვს, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებითაც და სახელმწიფო ენის მცოდნე ახალგაზრდების რაოდენობითაც. უკვე ბევრი ეთნიკურად არაქართველი სწავლობს ქართულ უნივერსიტეტებში, სტატისტიკაც დადებით ტენდენციებზე მიუთითებს. ახლა ამ ორი პროექტის მონაწილეები არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის მონაწილეები არიან და მათ კოლეგებისათვის ქართული ენის სწავლებაც ევალებათ. ასეთია 114 კონსულტანტ-მასწავლებელი და 170-მდე დამხმარე მასწავლებელი, მათ შორის არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც, რაც

ძალიან მნიშვნელოვანია, და რაც, გარკვეულწილად, განათლების სამინისტროს ქართულ ენაში მომზადების სავანმანათლებლო პროგრამამაც (ე.წ. 4+1) განაპირობა - ამ პროგრამის ფარგლებში, ბაკალავრის ხარისხის მქონე პედაგოგების მსურველებს დამხმარე მასწავლებლობას ვთავაზობთ, ამ გზით ვეხმარებით პროფესიაში შესვლაში, ამავდროულად, სახელმწიფო აძლევს გარანტიას, რომ დაუფინანსებს მაგისტრატურაში სწავლას ესე გათვალისწინებული საგნების ან განათლების ადმინისტრირების მიმართულებით.

კარგია, რომ სახელმწიფო ახალ და ახალ შესაძლებლობას ვთავაზობს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ახალგაზრდებს, რათა მშობლიურ სოფლებში თავად გააგრძელონ ის საქმე, რაც მათმა ქართველმა კოლეგებმა წარმატებით დაიწყეს (და აგრძელებენ) და რაც ასე აუცილებელია მათთვის მომავალი წარმატებისთვის, ქართული სახელმწიფოს განვითარებისთვის. ამაზე ზრუნვას პროგრამა აგრძელებს და ქართული ენის კურსგავლილი არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებს ვთავაზობს საგნობრივ ტრენინგებს მშობლიურ ენაზე. ისტორიასა და ფიზიკაში ასეთი ტრენინგები უკვე ჩატარდა აზერბაიჯანელი პედაგოგებისთვის, ჩატარდება სხვა საგნებშიც და სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვისაც. პარალელურად მოქმედებს ქართული ენის კურსები. მსურველი გაცილებით მეტია ხოლმე, ვიდრე რეალური მსმენელი, მიზეზი იგივეა - პრობლემებია, რაც ყოველთვის შეიძლება ჰქონდეს სოფლის პედაგოგს, მთავარია, რომ მათი მხრიდან არის დაინტერესება, სახელმწიფოს მხრიდან კი - სრული მხარდაჭერა. სწორედ ამას გულისხმობდა თამარ კეკელიძე, როცა ამბობდა, რომ სწორედ ენის კურსებისა და კონსულტანტ-პედაგოგების დამსახურებაა, რომ 90-მდე სკოლის ასობით პედაგოგი ბ1 დონეზე აგრძელებს სახელმწიფო ენის შესწავლას, რათა შემდგომ თავისუფლად შეძლოს საგნობრივი თუ პროფესიული უნარების ტრენინგის მოსმენა, სქემაში ჩართვა და გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

ორიოდ სიტყვით კონსულტანტ-პედაგოგების შესახებაც მინდა გითხრა. ალბათ, ბუნებრივია, რომ, პირველ რიგში, ეს ვალდებულება წინა პროგრამების მონაწილე, წლების გამოცდილების მქონე პედაგოგებს დაეკისრათ. თუმცა, ქალბატონი თამარის აზრით, მსგავსი შესაძლებლობა სხვებსაც უნდა მიეცეთ. ამიტომ მსურველებს, ყველა არაქართულენოვანი სკოლის „ქართული როგორც მეორე ენის“ პროექტის მასწავლებლებს, შესთავაზებენ გრძელვადიან კურსს ინტეგრირებული სწავლების მიმართულებით და შემდეგ, კონკურსის წესით, შეარჩევენ მათ, ვინც საკონკურსო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მანამდე კი უკვე მოქმედი კონსულტანტ-პედაგოგები და დამხმარე მასწავლებლები, 2015 წლიდან, ერთობლივად ეხმარებიან კოლეგებს ენის ბარიერის დაძლევაში. მაგალითად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საბირჟენდის №1 სკოლაში (დორექტორი - ხალიდე ბიბალოვი) ხათუნა ნიკლაური და სალომე ქირია უძღვებიან ამ საქმეს. ხათუნა ამბობს, რომ კონსულტირებას ადრეც უწევდა ქართული ენის პედაგოგებს, მაგრამ შარშან უკვე გადამზადების პროგრამაში ჩაერთო და პედაგო-

გებთან ერთად კოლეგებისთვის ქართული ენის სწავლება დევალა იმ დონეზე, რომ მათ შეძლონ გეგმების დანერგვა, შეფასება, ტრენინგების მოსმენა და გაგება. ერთი სიტყვით, მზად იყვნენ სქემაში ჩასართავად. „შარშან ხუთთვიანი კურსი გავიარეთ - კვირაში 3 დღე ორსაათიანი მეცადინეობა გვქონდა. მსურველთაგან 14 მსმენელი ტესტების საფუძველზე შევარჩიეთ, დავინყეთ მეცადინეობა სახელმძღვანელოთი „აღმართი“, რომელიც განათლების სამინისტრომ მოამზადა ქართული ენის შემსწავლელი უცხოელებისთვის. კარგი სახელმძღვანელოა, ძალიან დაგვეხმარა მეც და ჩემს მსმენელებსაც. კურს-დამთავრებულებს ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ვაძლევთ, ამიტომ კურსს გამოცდით ვასრულებთ (ტესტიც და მოსმენაც). 14 მსმენელიდან 8 გადავიდა მეორე ეტაპზე. სწორედ ისინი გაივლიან ბ1 დონეს, რაც აუცილებელია და საკმარისიც, სქემაში ჩართვის მსურველთათვის“.

ხათუნა ნიკლაური მეექვსე წელია ასწავლის სკოლაში. შედეგები კარგი აქვს. წლებია, მისი ყოფილი მოსწავლეები ქართული უნივერსიტეტების სტუდენტები ხდებიან. იმედია, მომავალში, ზოგი მათგანი მისი კოლეგაც გახდება და მშობლიურ სკოლაში გააგრძელებს საქმიანობას. პარალელურად, იგი დამხმარე მასწავლებელს, სალომე ქირიას კონსულტანტიცაა. სალომესაც ოთხწლიანი გამოცდილება აქვს. იგი თავიდანვე დამხმარე მასწავლებლად მოვიდა საბირჟენდის სკოლაში. ამბობს, რომ დახმარება ყველა ადგილობრივ ქართულის მასწავლებელს სჭირდება. დღეში 4-5 გაკვეთილზე შედის, დამატებით - XII კლასში, თავად I-VI კლასების პედაგოგია. არ უჭირს პატარებთან საერთო ენის გამოხატვა, არც მათ უჭირთ ქართულის შესწავლა, თავიდან თამაშებით, უცხვებით, თვალსაჩინოებით იწყება, შემდეგ ნელ-ნელა ყველაფერი იოლდება და წინ მიდის. ხათუნა სპეციალურ ტრენინგებს გადის, რომ ახლებური მეტოდებით სწავლებაში დაეხმაროს სალომეს. ერთად გეგმავენ გაკვეთილებს, რომელსაც ხათუნა ხშირად ესწრება, შემდეგ განიხილავენ დეტალურად და ისევე ახალ გეგმას აწყობენ... ხათუნა ამბობს, რომ ეს თანამშრომლობა აუცილებლად მოიტანს შედეგს მათი არაქართველი კოლეგებისათვის.

თუმცა, მაინც მეტი აქტიურობა თავად არაქართულენოვან სკოლებსაც მართებთ, მხოლოდ მათ მიერ გამოცხადებული ვაკანსიის საფუძველზე მიავლენს პროგრამა ქართული ენის პედაგოგს. ის ფაქტი, რომ დღეს უკვე ბევრ სოფელში წლების განმავლობაში მივლენილი ქართველი პედაგოგები არა მარტო გაკვეთილებს ატარებენ, არამედ ადგილობრივი ქართული ენის პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე, ხშირად რიგითი მოსწავლეების მცხოვრებლების ყოფითი საკითხების მოგვარებაზეც კი ზრუნავენ, ადგილობრივი სკოლის ხელმძღვანელობისთვის გადამწყვეტილების მიღების საფუძველი უნდა გახდეს, ვაკანსიის გამოსაცხადებლად. როგორც პროექტის მენეჯერი ამბობს, ტენდენცია სწორედ აქეთკენ მიდის და ეს მისასალმებელია, რადგან თითოეული დღევანდელი მოსწავლისა თუ მათი პედაგოგის ქარიერულ წინსვლას, პირველ რიგში, პროგრამაში აქტიურად ჩართვა განაპირობებს.



ახალი უმაღლესი სასწავლებელი

ახსნაღებს კონკურსს

პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

- სასწავლებლის პროფესორის თანამდებობაზე უმაღლეს შვიდკლასი არჩეულ იქნას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს, არანაკლებ, 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.
- სასწავლებლის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შვიდკლასი არჩეულ იქნას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს, არანაკლებ, 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.
- კონკურსი გამოცხადდა 2016 წლის 28 ოქტომბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 28 ნოემბრიდან 2016 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით. საკონკურსო მასალების განხილვა კომისიის მიერ და კონკურსის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება მოხდება არაუგვიანეს 2016 წლის 16 დეკემბრისა; აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს სამი კვირისა.
- კონკურსი გამოცხადდა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შედეგი მიმართულებით:

ბიზნესის ადმინისტრირება: პროფესორი - 3 საშუალო ერთეული; ასოცირებული პროფესორი - 5 საშუალო ერთეული.

ფსიქოლოგია: ასოცირებული პროფესორი - 1 საშუალო ერთეული.

სამართალი: ასოცირებული პროფესორი - 5 საშუალო ერთეული (ქართული სამართლის ისტორიის, კონსტიტუციური სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, კერძო სამართლის და სისხლის სამართლის მიმართულება).

- აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევამ კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
  - ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);
  - ბ) კონკურსანტის ანკეტა (დადგენილი ფორმის მიხედვით);
  - გ) პირადობის მოწმობის ასლი;
  - დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სა-მეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი (შესაბამის სფეროში), კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);
  - ვ) გამოქვეყნებული შრომების სია, ზოლო 5 წლის განმავლობაში;
  - ზ) ავტობიოგრაფია CV;
  - თ) 1 ფოტოსურათი 3x4-ზე;
  - ი) შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი/სილაბუსები.

საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოება 2016 წლის 28 ნოემბრიდან 2016 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, ახალი უმაღლესი სასწავლებლის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, მე-6 კვარტალი, კორპუსი 7b.

# თვითგანვითარება ალაშიანის ზოგადი განვითარების ძალიან კარგი იარაღია

**რა ფორმით და რომელი ასაკიდან მასწავლებლობა უფრო მოსახერხებელია? როგორ გავსაზღვროთ სასწავლო სწავლის პროცესი და რას მივაძვიროთ ყურადღება უფრო მეტი განვითარებისთვის მზადების პერიოდში - საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით?**



ნელს, როცა დავალბებოდი ოდნავ გავართულებ, სტატისტიკური ანალიზი ძალიან დამამბოხებელია.

## იძნელა თუ არა სიხლე მოსამსახურის ნაწილში

თქვენ იცით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი პოლიტიკა - ჩვენი მიდგომა დინამიურია, ყოველ წელს გარკვეული სიხლე შედის, არ არის გამოცდის უფრო მეტი, 2017 წელს რაღაც სიხლე უცხო ენებშიც შევიდეს, მაგრამ წინასწარ ამის დაანონსება შეუძლებელია. უმნიშვნელო სიხლე იქნება, მაგრამ სანამ ამას ძალიან კარგად არ „დავპილოტებთ“, აპრობაციას არ გავივლით და არ დავრწმუნდებით, რომ ეს კარგისკენ ცვლილებაა, მანამდე არ მივსვამთ ცდას. თუმცა, შემოიღო გითხრათ, რომ დიდი და დრამატული ცვლილება არ იგეგმება.

## მოსამსახურე არანაკლებ მნიშვნელოვანი უნარი - მიტყვევება

ამ უნარს ჩვენ ლაპარაკს ვეძებთ, რადგან მეტყვევება ცოტა სხვა რამაა. ლაპარაკის ნაწილი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სხვა ნებისმიერი. ოთხი უნარია - წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა. ჩვენ მეტყვევებით, რომ მასწავლებლის ტესტში ოთხივე თანაბარი წონის მატარებელია, ძალიან კარგი იქნება, აბიტურიენტებშიც ყოფილიყო. თუმცა, ამ ნაწილს დამატება ძალიან ძვირადღირებული სიახლოვებაა - ყოველი ბავშვი ინდივიდუალურად უნდა ჩაინეროს და არა ჯგუფურად, როგორც მოსმენაში ხდება - 15-კაციანი სექტორი ერთ ტექსტს ისმენს. ამას ვერ გავაკეთებთ ლაპარაკის დროს. გასწორებას საკმაოდ რთული და ძვირია, ამიტომ ამაზე ფიქრს, ჯერჯერობით, თავს დავანებებთ, თუმცა მომავალში არაფერია გამორიცხული. რა თქმა უნდა, ლაპარაკის ნაწილი დაგვეხმარება, რომ სრულიად ობიექტური შეფასება მივიღოთ.

## ზოგადი რეკომენდაცია

პირველ რიგში, ლაპარაკის უნარის განვითარება, ეს არის სიტუაციური დიალოგების სწავლა, რომელიც არის სახელმძღვანელოებშიც და ძალიან ბევრია საიტებზე. მასწავლებლებს ვურჩევ (სამსწავლოდ, ამას ძალიან ცოტა აკეთებ) და შევხსენებ, რომ ლაპარაკის განვითარება არ არის ნაკითხულის მოყოლა. ცხადია, ცალკე ადამიანი თავის თავს ვერ დაელაპარაკება, ლაპარაკის განვითარება გარკვეულ სიტუაციაში შესაბამისი ლექსიკის გამოყენება გულისხმობს. სწორედ ამ მიმართულებით უნდა აკეთონ ბავშვებმა ის ძალიან კარგი საგარეო-შოები, რომლებიც არის სახელმძღვანელოებში და საიტებზე.

ახლა ძალიან ბევრი საშუალებაა, რომ მათ ჰყავდეთ ონლაინ-ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნებში. ვურჩევ, შეიძინონ მეგობრები და დღეში, თუნდაც ნახევარი საათი მაინც, სკაიპისა თუ სხვა უამრავი პროგრამის საშუალებით, ინგლისურად ესაუბრონ. ეს ძალიან კარგი იქნება მათი მეტყველებისთვის - ლაპარაკის უნარის განვითარებისთვის.

## კითხვის უნარი

ყველა აბიტურიენტს, ვისაც უცხო ენის შესწავლა სურს, ვურჩევ, რაც შეიძლება მეტი იკითხო. იკითხოს მისი ცოდნის დონის შესაფერისი ლიტერატურა. არსებობს ადაპტირებული ნიგნები. თუ, დაუშვავთ, ცხრა წლის ბავშვი ორიგინალის კითხვას დაიწყებს, მას გაუჭირდება და მოტივაცია დაეკარგება. ამიტომაც კითხვა უნდა იყოს თემატური და ენობრივი დონის შესაბამისი, ეს აუცილებელი პირობაა. ამას არც მასწავლებელი სჭირდება და არც გარკვეული მეთოდური ინსტრუქციები. აბიტურიენტები, იკითხეთ, რაც შეიძლება მეტი ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურა ან არამხატვრული. უამრავი საიტია, მაგალითად, არაჩვეულებრივი საიტი აქვს ბრიტანეთის საბჭოს ინგლისური ენის შემსწავლელთათვის, დონებზე დაყოფილი. იქ ტექსტებიც არის, მოსმენის საშუალებებიც და აუცილებლად გამოყენეთ ეს შესაძლებლობა.

ჩვენ ვთქვით, რომ სანცის ეტაპზე, სადაც 7-8 წლამდე, მოსმენა უმნიშვნელოვანესი, რომ განვითარდეს ენის უნარი, შემდეგ უკვე კითხვაა მნიშვნელოვანი ელემენტი.

მე ჯავახიშვილის უნივერსიტეტშიც ვასწავლი და ვხედავ, რომ სტუდენტებსაც კი უჭირთ ავთენტური, ნამდვილი საგან-საგნო სტატისტიკის ნაკითხვა და გაგება. ეს ცალკე ენასწავლითაა, მეტაენაა, თავისი ფიქსირებული პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა ტერმინოლოგიით, ამიტომაც, თუ არ ხარ სპეციალისტი, ძნელია გაგება. ამერიკელსა და ბრიტანელს ესმის, ჩვენ - არა, იმიტომ, რომ იმ კულტურაში არ გავზრდილვართ და არ გვიცხოვრია. პრესის შემსწავლელთა და სახმარებლად BBC-ის აქვს საიტი შემსწავლელებისთვის - BBC Learning English - სადაც მათ ასაკზე მორგებული არაჩვეულებრივი თემეტიკაა, ენაც, მოსამსახურე ტექსტები და ნასაკითხი - გარემოს დაცვაზე, ახალგაზრდულ ცხოვრებაზე, კულტურაზე, ინფორმაციულ-საგანმანათლებლო და ა.შ. ასე რომ, იკითხეთ! ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

## გამოსაშვები გამოცდები - სტატისტიკური ანალიზი

გამოსაშვებ გამოცდებში ოთხი მოდულია - გრამატიკა, ლექსიკა, ენობრივი ფუნქციები და ნაკითხულის გაზრება. უფროსკლასელებს შედარებით უჭირთ ენობრივი ფუნქციები. რა არის ეს? დაუშვავთ, მინდა ადამიანი დავაპატიო ჩემი დაბადების დღეზე, ამ შემთხვევაში, ვიყენებ ენის სპეციალურ ტერმინს ან სტრუქტურას და შესაბამის პასუხს ველოდები. ეს არის

ნიკაციური მეთოდიკა, რომელიც გულისხმობს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას - წერა, კითხვა, ლაპარაკი და მოსმენა.

ჩვენთან, ტრადიციულად, მასწავლებლებს უფრო განვითარებული აქვთ კითხვის უნარ-ჩვევა. დღეს უკვე ძალიან დიდ კონკურენციას უწევს მასწავლებლებს მოსწავლეები, მათ უფრო განვითარებული აქვთ მოსმენის უნარ-ჩვევა, რადგან ისმენენ სხვადასხვა ვიდეოებს, უყურებენ ფილმებს. ჩვენ ეს გამოცდების შედეგებზეც დაინახეთ, მათ არ გაუჭირდათ მოსმენის დავალება. ერთგვარი გეზი და მეთოდური რჩევაა, თვითონ ბავშვმა, მოსწავლემ, მასწავლებლის დახმარების გარეშე, უყუროს ფილმებს, უსმინოს მუსიკას და სხვადასხვა სახის ტექსტებს. უამრავი კარგი საიტია. მოსწავლეს ნამდვილად შეუძლია თვითონ განვითარდეს. ხანდახან მშობლები ზედმეტად აფასებენ მასწავლებლის როლს, ჰგონიან, თუკი კერძო რეპეტიტორთან მიიყვანენ შვილს, ეს უკვე წარმატების გარანტიაა. არ მინდა იმედები გავუცრუო მათ, ვინც თანხებს იხდის, მაგრამ აქ, ისევე და ისევე, მნიშვნელოვანია მეთოდიკა, რომელსაც მასწავლებელი იყენებს და არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითგანვითარების ელემენტი.

## უცხოური ენის დამოუკიდებლად შესწავლა

დღეს, ინტერნეტის და უამრავი ინფორმაციის პირობებში, მონდომებულ ადამიანს - თინეიჯერს, ბავშვს, ყველას შეუძლია გარკვეული უნარ-ჩვევა განვითაროს უცხო ენაში და მისთვის მასწავლებელი იყოს მხოლოდ გეზის მიმცემი, ინსტრუქტორი, თუ შეიძლება რომ ასე ითქვას, რომელიც დააკავალანებს პრობლემის შემთხვევაში. მთელი მსოფლიო ამაზე გადასული - თვითგანვითარება ადამიანის ზოგადი განვითარების ძალიან კარგი იარაღია. მუდმივი ბმა - თუ მასწავლებელმა არ ასწავლა, მოსწავლემ არაფერი არ იცის, მე გგონია, ამის დრო ნელ-ნელა გადის.

არ მინდა, ცუდად გამოვიხედვს, არავითარ შემთხვევაში არ ვაგნიებ მასწავლებლის როლს, პირიქით, მასწავლებელი ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია, რომ სწორი გზით წაიყვანოს მოსწავლის განვითარება, მაგრამ მოსწავლის განვითარება არის - მასწავლებლის დაკვალანებას პლუს თვითგანვითარება. დამოუკიდებელ მუშაობას, დამოუკიდებელ მიდგომებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ პირობებში, მასწავლებელმა უნდა მისცეს საგანმანათლებლო საიტების მისამართები, ურჩიოს, რომ კომპიუტერზე მხოლოდ თემატური არ ითამაშოს, მაგრამ მოსწავლემ უნდა შეძლოს თვითგანვითარება. შეუძლია თუ არა მას სრულყოფილად ისწავლოს ენა მასწავლებლის გარეშე, ამ შეკითხვაზე, ალბათ, სპეციალური პასუხი მექნება - არა, რა თქმა უნდა, მას ნამდვილად სჭირდება გარკვეული გიდი, რომ შეისწავლოს უცხო ენა, თუმცა, თვითგანვითარება და თვითგანვითარების ელემენტი ძალიან დიდია.

## მოსამსახურე უნარი

საგამოცდო ტესტში ეს დავალება დიდი სიფრთხილით შემოვიტანეთ, რადგან მოსმენის უნარი ერთ-ერთი რთული უნარია, არ არის იოლი მოსმენის და გაიგო უცხო ტექსტი, მით უმეტეს - ტესტის შეკითხვაზე გაცეცხე პასუხი. ძალიან ვმიზობდით, მაგრამ მართლაც პარადოქსი იყო ის, რომ მოსამზადებელ პერიოდში, მასწავლებლების მხრიდან მეტი ოპონირება ნამოვიდა, ვიდრე - აბიტურიენტების. მასწავლებლები ამბობდნენ: ჩვენ არ გვაქვს მაგნიტოფონი სკოლაში, ჩვენ არ ვაკეთებთ ამას, რაც, ჩემი აზრით, სრულიად არაარგუმენტირებულია - თუ სახელმძღვანელოთი მუშაობ, იქ არის მოსმენის ელემენტი ისევე, როგორც სხვა ელემენტები და სკოლამ როგორღაც უნდა უზრუნველყოს ამის მოგვარება.

ამ წლების განმავლობაში, აბიტურიენტებისგან არ მიგვიღია არც ერთი რაიმე სახის კრიტიკული შენიშვნა. რასაკვირველია, ვიღაც უკეთ ასრულებს ამ დავალებას, ვიღაც - ნაკლებად, მაგრამ სტატისტიკური ანალიზი, რაც ჩვენთვის უპირველესი შემფასებელი საშუალებაა, გვეუბნება, დაახლოებით, ათიდან შვიდი აბიტურიენტი ამ დავალებას, ოთხივე უცხოურ ენაში, აკეთებს კარგად, საშუალოზე უკეთ, რაც ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. შეიძლება ჩვენ ცოტა გავამარტივებთ ეს დავალება, ზედმეტად „დავუღებთ“, რადგან არ გვიჩნდება, ეს სიხლე მების დაცემასთან ყოფილიყო.

## საუკეთესო ასაკი ახალი ენის შესწავლად

ამ საკითხს არა მარტო საზოგადოებაში არჩევენ, არამედ მეცნიერებაც, მკვლევრები, ფსიქოლოგები და მათშიც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რომელი ასაკია უკეთესი. მე საკითხს ასე დავსვამდი - რომელი მეთოდი უკეთესი, რადგან შეიძლება ენის სწავლა გვიან დაიწყო (დაუშვათ, 10-12 წლის ასაკში) და შესანიშნავად შეისწავლო ან 3-5 წლიდან დაიწყო (როგორც ახლა მოდაშია) და ვერაფერიც ვერ ისწავლო. ამიტომ, მე გავიჯივრევი მეთოდიკას. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომელია სასურველი სასკოლო ასაკი, როდის არის უკეთესი, რომ ბავშვმა სკოლაში უცხო ენის შესწავლა დაიწყოს, ჩემი აზრით, ეს 7 წლის ასაკია. ხოლო თუ ვლაპარაკობთ იმაზე, საერთოდ როდის არის უკეთესი (ოჯახში ასწავლიან თუ საბავშვო ბაღში), მაშინ აქ ნამდვილად მივაქცევდი ყურადღებას მეთოდიკას. თუ ეს სწავლება ბავშვს არ ტვირთავს, არ ავაფრთხილებს საშინაო დავალებას, არამედ ეფუძნება გართობის და უფრო მოსმენის განვითარების მეთოდიკას, მაშინ პირდაპირ 2 წლიდან შეიძლება ბავშვმა მოისმინოს უცხოური ტექსტები. უბრალოდ მან ეს უცხო ენა მხოლოდ სმენით უნდა მიიღოს.

თუ ჩვენ ვლაპარაკობთ გავვითარების სისტემაზე, გარკვეულ პროგრამაზე, საშინაო დავალებებზე, სასურველია, 7 წლის ასაკიდან დაიწყო. უფრო ადრე დაწყება არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, ამ ასაკამდე - არანაირი გავითარების ფორმატი. 7 წლიდანაც კი გავითარებ, კლასიკური გავითარება - საშინაო დავალება, გამოკითხვა - არ უნდა იყოს. ევროპაში ინგლისურმა დიდი დატვირთვა მიიღო და სერიოზული პროგრამა ხორციელდებოდა, წლების განმავლობაში, მთელი ევროპა გადავიდა პირველი კლასიდან (ეს არის 6 წლის ასაკი) სწავლებაზე. ამ შემთხვევაში, უნდა იყოს ძალიან კარგად დატრენინგებული მასწავლებელი, რომელიც ორიენტირებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ პატარა ბავშვების სწავლების მეთოდოლოგიაზე. ძალიან კარგად უნდა ესმოდეს ამ ასაკის თავისებურება. თუ ჩვენ IX-X კლასების ჩვეულებრივ მასწავლებელს ვუშვებთ პირველ კლასში და ვეუბნებით, ამ წიგნით ასწავლე (კარგი წიგნი კიდევ ცალკე პრობლემაა), ფიქრობ, სრულიად უმიზნოა, დაკარგული დრო და დაკარგული სახსრებია. ან ძალიან დიდი დრო უნდა დავუთმოთ უმცროსი ასაკის ბავშვების მასწავლებლების გადამზადებას მეთოდიკაში, ან ვთქვათ ძალიან ზოგადად, რაც ოჯახშიც შეიძლება გაკეთდეს, ბავშვს, პერიოდულად, ჰქონდეს იმის საშუალება, რომ მოისმინოს ინგლისურენოვანი ზღაპრები, სიმღერები, მეტყველება და მეტი არაფერი. ეს უნდა იყოს უცხო ენის პასიური შესწავლა გონებაში (უხეზად რომ ვთქვათ) ისევე, როგორც მშობლიურ ენას სწავლობს ბავშვი სრულიად გაუცნობიერებლად, უბრალოდ ესმის და მერე, ნელ-ნელა, ასტრუქტურებს. სწავლების პირველი ეტაპი უნდა იყოს ასეთი - მაქსიმალურად გართობაზე ორიენტირებული და თამაში გადასული.

## ორი უცხო ენის დანახვა ერთდროულად

ვფიქრობ, რომ თუ საშუალო შესაძლებლობის ბავშვს ავიღებთ, ეს არაფერია არ შეიძლება. არ თქმა უნდა, არიან ბავშვები, რომლებსაც ენის შეთვისების განსაკუთრებული ნიჭი აქვთ, მაგრამ ეს დიდი გამოწვევაა. არ არის მიზანშეწონილი ორი უცხოური ენის (მით უმეტეს, რომ მშობლიური ენაც ასათვისებელია) ერთდროულად შესწავლა. სასურველია, დაახლოებით, 3-4 წელი ინტერვალი, რადგან ეს ზედმეტი გადატვირთვაა ბავშვისთვის და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, თუ არ ვლაპარაკობთ ბილინგვიზმზე, რაც აბსოლუტურად სხვა რამაა. ბილინგვიზმია, როცა ოჯახის რომელიმე წევრი ფლობს სხვა ენას და ბავშვს, მშობლიური ენის დონეზე, ესმის ეს ენა. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ უცხო ენის სწავლებაზე, ორი უცხო ენის სწავლება ერთდროულად, ჩემი აზრით, მიზანშეწონილი არ არის.

## სწავლების წარმატებული სტრატეგია

სწავლების წარმატებულ სტრატეგიას განსაზღვრავს, როგორც ვთქვი, ადრეულ ასაკში მოსმენის უნარის მაქსიმალურად განვითარება, თამაშის დონეზე (და არა საგანკითხვო პროცესის ფორმატი), უბრალოდ პასიური მოსმენა - ბავშვს ჰქონდეს საშუალება, ისმინოს უცხო ენაზე ჩანანერები, სიმღერები და ა.შ. მოგვიანებით ეტაპზე შემოდის კომუ-

## განათლება - 2016

ფუნქციური ენა - სხვადასხვა სიტუაციაში პრაქტიკული და სწორი ლექსიკური თუ გრამატიკული სტრუქტურების გამოყენება. საგამოცდო ტესტში გვაქვს შეკითხვები, მოსწავლემ უნდა აირჩიოს სწორი პასუხი. უნდა ვთქვათ, რომ უფროსკლასელებს ნამდვილად უჭირთ ეს ენობრივი ფუნქცია (სამეტყველო ფუნქცია). თუ დავფიქრებთ, რეალურად, რატომ უნდა იყოს რთული? წინადადებაზე, კითხვაზე უნდა აირჩიოს სტრუქტურულად და ლექსიკურად სწორი პასუხი. ჩვენი დასკვნა ასეთია - იმიტომ უჭირთ, რომ სკოლაში არ ავარჯიშებენ. არ ყოფნით გამოცდილება, რომ კარგად გაიაზრონ, რა სახის დავალებაა.

შედარებით არ უჭირთ გრამატიკა, ლექსიკასაც არა უშავს და არც ისე მარტივია ნაკითხულის გააზრება - პატარა დავალებები, ინფორმაციული ტექსტები, რომელიც უნდა წაიკითხო და შესაბამის შეკითხვებს უპასუხო. ენობრივი ფუნქცია, ანუ სიტუაციური ენა არის კომუნიკაციური დანიშნულების მქონე დავალება და, პრაქტიკულად, აუცილებელია ამა თუ იმ ენაზე მეტყველისთვის. სამწუხაროდ, ჩვენს უფროსკლასელებს ეს უჭირთ.

### კონკრეტული რეკომენდაცია

პირველ რიგში, ნახონ ნიმუშები და ამ ნიმუშებზე იმუშაონ. გარდა ამისა, ისევ და ისევ, გადავალ მასწავლებლებზე - CAT-ის დავალებები, გამოწვევის გარეშე, აგებულია ეროვნულ პროგრამაზე. ჩვენ არ ვიხედებით სახელმძღვანელოებში, არ გვინტერესებს სახელმძღვანელო. ისევე როგორც მასწავლებლისთვის, ჩვენთვისაც მთავარი გიდი, როცა საკითხებს ვადავებთ, არის პროგრამა, ეროვნული სასწავლო გეგმა. იქ ძალიან კარგად არის ჩამოყალიბებული ენობრივი ფუნქციები და მასწავლებელმა უნდა ავარჯიშოს მოსწავლეები. ბავშვმა უნდა ნახოს ნიმუშები და გაამახვილოს ამაზე ყურადღება, კარგად შეისწავლოს და იცოდეს, რა სახის ტექნიკა გამოიყენოს, რაზე ივარჯიშოს.

### ერთიანი ეროვნული გამოცდები

ტრადიციულად, აბიტურიენტებს არ უჭირთ ნაკითხულის გააზრება - პირველი და მეორე, სწორია-არასწორია ტიპის, დავალება. შესაბამისად, ამ ორ დავალებას შედარებით მაღალი სტატისტიკური ანალიზი აქვს. შეიძლება აქ „მორტყმის“ ელემენტებიცაა, იმიტომ რომ, დახურული სახის კითხვა, ერთ-ერთი სწორი პასუხი და, შეიძლება, აბიტურიენტთა გარკვეული პროცენტი ინტუიციურად ხვდება, რომელია სწორი. ღია სახის დავალებისგან განსხვავებით, დახურული სახის დავალებას სწორი პასუხის შემთხვევით შერჩევის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს, ალბათ, ამიტომაც შედარებით უმარტივდებათ ამ დავალებების შესრულება.

რა თქმა უნდა, უძნელდებათ წერა. თუმცა, ბევრს მშობლიურ ენაზე წერაც უჭირს, მით უმეტეს უჭირთ ინგლისურად. დაახლოებით, ყოველი მეხუთე აბიტურიენტი საერთოდ არ ასრულებს ამ დავალებას, იგნორირებას უკეთებს, რაც ძალიან ცუდია, რადგან თემის (ძალიან პატარა, ერთ გვერდამდე უნდა დაწეროს) შეფასების სქემა 16-ქულიანია და აქვთ შანსი მიიღონ, თუნდაც, 6 ქულა, 4 ან 2 მაინც. დავალება ყოველთვის ბავშვის სასარგებლოდ ფასდება (გარდა იმ შემთხვევებისა,

სა, თუ გამჩნევთ, მაგალითად, რომ ტექსტი წინასწარ დაზეპირებული მოიტანა და სულ სხვა თემა უწერია, ან სახელი და გვარი აქვს მითითებული) და რაღაც ქულას აუცილებლად იღებს, შეფასების სქემის მიხედვით. ამიტომაც ვურჩევ ჩვენს აბიტურიენტებს, ივარჯიშონ წერის უნარის განვითარებაზე. არსებობს უამრავი კარგი სახელმძღვანელო. თავიდანვე ნუ გაუკეთებენ იგნორირებას ამ დავალებას, ნუ შეეშინდებიან, ყოველთვის ისეთი თემებია, რაზეც 18 წლის ახალგაზრდას საკუთარი აზრი უნდა ჰქონდეს - განათლებაზე, ბუნებისა და ცხოველების დაცვაზე, ნიგნებზე, ოჯახზე, მეგობრებზე და სხვ. ეცადოს, ეს აზრი მარტივად და გასაგებად გამოხატოს. ივარჯიშეთ ნელ-ნელა, ჯერ ორი წინადადება დაწერეთ, მერე - სამი, ოთხი... გასწორებული გადაწერეთ, ისევე გადახედეთ და გადაწერეთ, სანამ საბოლოოდ კარგ ნიმუშს არ მიიღებთ, რომელსაც მასწავლებელიც კარგად შეაფასებს. ამ დავალებას ასეთი ვარჯიში სჭირდება. სამწუხაროდ, ეს დავალება - წერილი, ესე - ყოველთვის დაბალი შეფასებით ხასიათდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, არის შემთხვევები, როცა აბიტურიენტი წინასწარ იზეპირებს ტექსტებს, რაც ყველაზე დასჯადია. როდესაც გამოცდაზე დაზეპირებული თემით მოდიხარ და წერ, ეს ნაშრომი, უყოყმანოდ, ნულით ფასდება. თუ აბიტურიენტს აქვს მცდელობა, თუგინდ გარკვეული შეცდომებით, თემასთან დაკავშირებული აზრი გამოხატოს და ნახევარი გვერდი მაინც დაწეროს, ეს ნაშრომი, 16 ქულიდან, რაღაც ქულით აუცილებლად შეფასდება, რაც კონკურსში ნაადგება.

არ მინდა ძალიან შავ-ბნელი სურათი დავახატო, რადგან არიან აბიტურიენტები, რომლებიც ბრწყინვალედ წერენ. ხანდახან ჩვენს გაცემას საზღვარი არ აქვს და ძალიან გვიხარია. არ ვიცი, ეს ბავშვები სად ან როგორ სწავლობენ, ან როგორ იღებენ აქვთ! აბიტურიენტების 6-7% ბრწყინვალეა და ხშირად გვითქვამს, რომ ვეღარ ვენევით ამ თაობას, ისე კარგად ფლობენ ინგლისურს. არის მართლაც სამაგალითო თემები.

მე საშუალო ან სუსტ აბიტურიენტს ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ ნაკლები მცდელობა აქვთ, შეასრულონ წერილი დავალება. ვიმეორებ, ეს დაკარგული შანსია, რადგან დამატებითი ქულების მოპოვების და უკეთეს უნივერსიტეტში მიხვედრის შესაძლებლობაა. ეს კონკურსია, მისი ცხოვრების ერთ-ერთი გადაწყვეტილება კონკურსი. როგორ შეიძლება, არ მიინდომოს და მთელი წლის განმავლობაში არ ისწავლოს. ეს ნამდვილად არ არის რთული, მით უმეტეს, ყოველ სახელმძღვანელოში ამ ტიპის უამრავი დავალებაა და ჩვენი ნიმუშებიც არის.

რაც შეეხება სიტყვების რაოდენობას, განსაზღვრულია - 150-ია მაქსიმუმი, თუმცა უფრო მეტსაც წერენ ხოლმე. რა თქმა უნდა, დასჯადია ნაკლები რაოდენობის სიტყვები, თუმცა დავალება არ ნულდება, მას ქულები აკლდება. მეტ რაოდენობაზე არ ვსჯით, მაგრამ აბიტურიენტმა უნდა გაიგოს, რომ რაც მეტს წერს, მეტი შანსია, რომ შეცდომა დაუშვას, ამიტომაც ძალიან ნუ მოინდომებს. ქართველებს გვიყვარს ხანდახან ბევრის წერა, თემიდან გადახვევაც, რაც ასევე არ არის კარგი. აბიტურიენტებო, მაქსიმალურად კონკრეტიზაცია გაუკეთეთ სათაურს და კონკრეტულად წერეთ!

### პრობლემა, რომელიც წლიდან წლამდე მიორდება

წელს გამოვიყენეთ მძიმე, დრამატული ხერხები, რომ აბიტურიენტებს არ დაენერათ სახელი და გვარი. ქართულადაც მივუთითეთ: გთხოვთ, თქვენი სახელი და გვარი არ დაწეროთ. მიუხედავად ამისა, იყო 2-3 (შარშან უფრო მეტი - 20-მდე) შემთხვევა, სადაც ბავშვებს სახელი და გვარი მაინც ეწერათ. რა თქმა უნდა, ნამუშევრები გაუნულდათ. მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა, რომ ტესტში ტექნიკური მხარე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შინაარსობრივი. ვინც სამ ადგილას დაწერა ინსტრუქციას ვერ კითხულობს და ვერ ასრულებს, რასაკვირველია, მიიღებს ნულს.

### გამოცდები - 2016

2016 წლის გამოცდის შედეგები არ იყო განსხვავებული წინა წლისგან, მეტ-ნაკლებად თანაბარი შედეგებია ბოლო სამი წლის განმავლობაში. ეს ეხება ინგლისურის ოთხივე ვარიანტს (საერთოდ ენებში გვაქვს რვა ვარიანტი: 4 - ინგლისურში, 1 - ფრანგულში, 1 - გერმანულში, 2 - რუსულში). ფრანგული გამოცდა უფრო მარტივი იყო. ეს ჩვენმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა - ბევრი მაღალი ქულა დაინერა, რაც ძალიან კარგია. დანარჩენი ენები, სირთულის მიხედვით, ერთმანეთთან ახლოს იყო. საერთო სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, ასევე, რომ, ზოგადად, უცხოური ენის გამოცდა არ იყო რთული, რაც ჩვენთვის გასაკვირია, იმიტომ რომ, პროგრამის მაქსიმუმს ვწერთ, მაგრამ, საბედნიეროდ, ინგლისურში ბევრი ძლიერი ბავშვია. ძალიან კარგი შედეგი იყო გერმანულში, შესაბამისად, სტატისტიკური ანალიზიც - მშვენიერი.

რუსულში ორი დრამატულად განსხვავებული შედეგი გვაქვს - ან ძალიან კარგად იცინა (უფრო რუსულენოვანმა ბავშვებმა, ვისაც ოჯახში რუსულენოვანი წევრი ჰყავს), ან საერთოდ არაფერი იცინა და უცხოურ ენად რუსულს ირჩევენ, ფიქრობენ, მაინც არაფერი ვიცი და, მოდი, იქნებ რუსულში დავწერო რამეო. ამიტომ, ანალიზის შედეგადაც, ასეთი უცნაური სურათი იხატება - ძალიან ბევრი საუკეთესო შედეგი, იმავდროულად ძალიან ბევრი - ძალიან ცუდი შედეგი.

### ძირითადი რჩევა

ჩემი რჩევა, ფაქტობრივად, იმის გამოვლენა იქნება, რაც აქამდე ვილაპარაკე. აბიტურიენტებო, მხოლოდ მასწავლებლის და საშინაო დავალების შესრულების იმედზე ნუ იქნებით. დამოუკიდებლად იმუშავეთ თქვენ თავზე, ისინი ძალიან ბევრიც ეცადეთ, ხშირად შეხვიდეთ საგანმანათლებლო საიტებზე და, რაც მთავარია, იკითხეთ ბევრი. კითხვა-მომხსენის განვითარება უმნიშვნელოვანესია, რომ საბოლოოდ ტესტი კარგად დაწეროთ და, როგორც წესი, ყურადღება მიაქციეთ ინსტრუქციას!

რადიო „იმედის“ გადაცემის „გამოცდებიდან გამოცდებამდე“-თეიკო ანჯაფარაძისთან ერთად მიხედვით მოამზადა **ლალი ტეპლაპეიშვილი**

## ინფორმაცია

# პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ მცირე საგრანტო პროექტის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის ძირითადი მიზანი იყო შრომის ბაზრის მთავარი გამოწვევის - პროფესიული და ტექნიკური მომზადების დონის გაუმჯობესებისთვის, საუკეთესო პრაქტიკის პრეცედენტის შექმნა. პრეზენტაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის წარმომადგენლები და სხვა მონაწილეები ესწრებოდნენ.

**ქეთევან ნატრიაშვილი:** „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში, საქართველო იღებს 140 000 დოლარს, რომელიც მიმართულია ქვეყანაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამ კომპაქტის ფარგლებში, დაახლოებით, 16 მილიონი დოლარი იხარჯება პროფესიული განათლების განვითარებაზე - პროფესიული განათლება ეკონომიკური განვითარებისათვის. სწორედ ამ კომპონენტის შემადგენელია მცირე საგრანტო პროექტები, რომელთა განხორციელება უკვე დაწყებულია და, ბიზნესის ჩართულობით, მუშავდება მიდგომები, რაც საინტერესო იქნება კერძო სექტორისათვის. კონკრე-

ტულად, „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ჩართულობით, რომელიც ასევე განათლებისა და მეცნიერების სოციალური პარტნიორი გახლავთ, მუშავდება არაფორმალური განათლების აღიარების თემები, რაც ძალიან დაეხმარება უკვე არსებულ კადრებს, რომ გაიარონ გადაამზადება ან მოახდინონ განათლების აღიარება, ჩაერთონ ეკონომიკურ აქტივობებში. მიმდინარეობს მუშაობა ახალგაზრდების დაინტერესებისთვის პროფესიული განათლებით, ასევე ზრდასრულების გადამზადებაზე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან პროფესიული განათლებას შეუძლია ზრდასრულებს შესთავაზოს გადამზადება ან კვალიფიკაციის ამაღლება, რაც მათ დასაქმებას უზრუნველყოფს.“

**მიხეილ კორძაბია,** საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი: „ათასწლეულის გამოწვევის პროექტის ფარგლებში, ჩვენი ორგანიზაციის, ბიზნესკომპანიების და საგანმანათლებლო სექტორის ჩართულობით, მოხერხდა მცირე პილოტური შედეგების განსაზღვრა. იმედია, მომავალში ამ გამოცდილებას გაიზიარებს ეკონომიკის დარგის სხვადასხვა სექტორი, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო სფეროს გაძლიერებას და შესაბამისად, მოქალაქეების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.“

მოამზადა **მეპა ყიფიანმა**

# ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობა

18 ოქტომბერს, ფრანკფურტში, წიგნის საერთაშორისო ბაზრობა 2016 გაიხსნა. საზეიმო მიღებაში მონაწილეობა ბელგიის მეფე-დედოფალმა მიიღეს. ქართულ მხარეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა და ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მედეა მეტრეველი წარმოადგინდნენ. სამინისტროს მხარდაჭერითა და ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, 2016 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო განსხვავებული პროგრამით წარდგა. პროგრამა, ძირითადად, საქმიანი შეხვედრებითა და ტვირთული. დაგეგმილია ქართველი გამომცემლების მონაწილეობა ფრანკფურტის და ლაიფციგის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყნების საბავშვო გამომცემლების შეხვედრაზე. შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართა.

წელს ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყნები ნიდერლანდები და ბელგიაა. საქართველო, ამ სტატუსით, ასობით გამომცემელსა და მწერალს, ფრანკფურტში, 2018 წელს უმასპინძლებს.

**მედეა მეტრეველი,** ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი: „ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, რომელიც წიგნის საგამომცემლო სექტორის მართლაც ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი პლატფორმაა მსოფლიოში, ძალიან დიდი შანსების მომცემია ქართული ლიტერატურისთვის და ქართული საგამომცემლო სივრცისთვის.“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან ერთად, ინოვაციების პავილიონის ეწვია და „მომავლის კლასის“ კონცეფციას გაეცნო. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში წარმოდგენილი „მომავლის კლასის“ მოდელი საერთო სამუშაო პლატფორმაა, სადაც მოსწავლე-

ბი ერთობლივად მუშაობენ პროექტებზე. სწავლების სისტემა ინტერაქტივად დაფუნქციონირებული, საგნები კი, სრულადაა ინტეგრირებული კომპიუტერულ პროგრამებთან.

**ალექსანდრე ჯეჯელავა:** „იმაზე დაყრდნობით, რაც აქვს ნახეთ, საშუალება გვაქვს, ჩვენს სკოლებშიც საკლასო ოთახი უფრო ინტერაქტიული, საინტერესო და მიმზიდველი გაგხადოთ, ამით მოსწავლეებიც სასწავლო პროცესში უფრო მეტად ჩაერთვებიან. მით უმეტეს, რომ საქართველოში არიან კომპანიები, ვინც ამ მიმართულებას ავითარებენ. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ამას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დიდი იმედი მაქვს, რომ უკვე 2018 წელს ჩვენ შევძლებთ ფრანკფურტში ჩვენი ინოვაციების წარდგენას.“

ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობა, ფაქტობრივად, ის ადგილია, სადაც მოწინავე მოაზროვნეებს საშუალება აქვთ, გაცვალონ იდეები, ინფორმაცია.“



შახვედრა მწერალთან

**ბორის აკუნინის თბილისური საღამო**

ლალი ჯვალაძე

18 ოქტომბერს, თბილისში, ბორის აკუნინი ქართველ მკითხველს შეხვდა. თბილისური შემოდგომის წვიმიანმა საღამომ ლიტერატურაზე საუბრის განწყობა შექმნა და მწერლის ფანება თუ მისი ნაწარმოებების რიგითი მკითხველი, სოციალური ქსელით დაანონსებული ივენთების დამლაიქებელ-დამსწრე საზოგადოება თუ ჯერ კიდევ რუსეთზე შეყვარებულად დარჩენილი ადამიანების მცირე ნაწილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შეკრიბა.

მასპინძელი უნივერსიტეტის რექტორმა გიგა ზედანიამ გრიგოლ ჩხარტიშვილი აუდიტორიას წარუდგინა: „ეს არის ადამიანი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, დააბრუნა სიმსუბუქე ლიტერატურაში და გვაჩვენა, რომ არ არის აუცილებელი ლიტერატურა იყოს მძიმე. სწორედ ამიტომაც, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, დარწმუნებული ვარ, ყოველი ჩვენგანი მოუთმენლად ელის მის მორიგ რომანს, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს ამაში.“

იმისათვის, რომ შეხვედრა უფრო მეტად ორგანიზებული ყოფილიყო, საღამოს გამორჩეული მოდერატორი უძღვებოდა – ლონდონში მოღვაწე ლიტერატურის კრიტიკოსი და კულტურის ჟურნალისტი მაია ჯავი. გარდა იმისა, რომ ის გამორჩეული ჟურნალისტი, რომელიც კულტურის თემებზე წერს, შეხვედრის ორგანიზატორების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ქართული ლიტერატურის კარგი მცოდნეა, მეტიც, მას ძალიან დიდი წვლილი აქვს შეტანილი თანამედროვე ქართული მწერლობის პოპულარიზაციაში საზღვარგარეთ.

საღამოს იდეის ავტორი ნიგინი ეროვნულ სააგენტოს ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი მედეა მეტრეველი შეხვედრას ფრანკფურტის ნიგინი ბაზრობაზე გამგზავრების გამო ვერ დაესწრო.

საღამოს ძირითადი ნაწილი მაია ჯავის კითხვებზე პასუხს დაეთმო, რაც ქართველი მსმენელისთვის საკმარისი აღმოჩნდა, რადგანაც, როგორც გაირკვა, თავად მზად არ იყო მწერლის შემოქმედებაზე სასაუბროდ და კითხვები მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას და ზობ დილანის ნობელის პრემიას დაეთმო. თუმცა ერთი კითხვა, უფრო მონოლოგი, საღამოს პრორუსული ნაწილის გულის ამოხეთქვა იყო და სერიოზული საყვედური მწერლის მიმართ, იმის გამო, რომ მან ინგლისურ ენაზე ისაუბრა და არა რუსულად. ამიტომაც, შეხვედრის ქართულ ნაწილზე მხოლოდ ამით შემოვიფარგლები.

შეხვედრის დასასრულს, ბორის აკუნინს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ნოდება მიენიჭა.

დღეისათვის ყველაზე პოპულარული ქართული ნარმოების რუსი მწერალი და, ამასთანავე, ლიტერატურათმცოდნე, იაპონისტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ჩხარტიშვილი, რომელიც ბორის აკუნინის ფსევდონიმითაა ცნობილი, 1956 წელს, საქართველოში, ზესტაფონში დაიბადა. მისი ოჯახი მალევე საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა, სადაც მწერალი გაიზარდა.

ის რუსეთის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, აქვს ისტორიკოს-იაპონისმცოდნის დიპლომი, არის მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი ინგლისური და იაპონური ენებიდან, გამოქვეყნებული აქვს როგორც ესეისტიკა („მწერალი და თვითმკვლელობა“, 1999 წელი), ისე ისტორიული ჟანრის ნაწარმოებები („რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“).

პირველი მხატვრული ნაწარმოები, ბორის აკუნინის სახელით, 1998 წელს გამოაქვეყნა, განსაკუთრებული პოპულარობა კი მწერალს ისტორიულ-დეტექტიური რომანების სერიაში (ერასტ ფანდორინზე) მოუტანა. მწერლის რომანები მრავალჯერ ეკრანიზებულია და თარგმნილია ბევრ ენაზე.

2014 წლიდან მოყოლებული გრიგოლ ჩხარტიშვილი ემიგრანტია.

საღამოს მთავარი გმირი, მიუხედავად იმისა, რომ მის ცხოვრებაში, ფაქტობრივად, ისტორიული მოვლენა ხდებოდა, რადგან მონიფულ ასაკში პირველად ჩამოვიდა ლონდონიდან საქართველოში, თავს მაინც უცნაურად გრძნობდა: „დღეს ცოტა უცნაურად ვგრძნობ თავს, მრავალი მიზეზის გამო. თბილისში რომ ინგლისურად უნდა ვილაპარაკო, ეს ეგ ზოტი-

კაა, აბა, რაა (ინგლისური ხომ ჩემი მშობლიური ენა არაა). საერთოდ, სიტუაციის უცნაურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ეს ჩემთვის ჩვეულებრივი საუბარი არ არის იმიტომ, რომ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საიდანაც დაგებრუნდი იქ, სადაც ადრე არასოდეს ვყოფილვარ. ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, ამ ბოლო დრომდე ქართულად მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვიცოდი – სიყვარული და სანყალი. ვფიქრობ, რომ მწერალს, პრინციპში, მეტი არც სჭირდება რომ იცოდეს, რადგან ძირითადად ამაზე წერს, რადგან ცხოვრება სულ ესაა – სიყვარული ძალიან სანყალი რამაა.“ – ამბობს ბორის აკუნინი.

საქართველოში პიესის იდეაზე სამუშაოდ ჩამოვიდა. მან თავის წიგნებში სხვადასხვა ქვეყნები აღწერა, თუმცა, არსად საქართველო არ უსენებია. ამბობს, რომ ნაწარმოებებში რომელიც ლოკაციასაც აღწერს, მას დეტალურად შეისწავლის, მისთვის მთავარი ადგილმდებარეობის შეგრძნებაა: „უნდა მოვიხაზო რაღაც ადგილები, გადავამოწმო, შევსაბამებ თუ არ ისინი ჩემს მოთხოვნებს. ყოველთვის ასე ვმუშაობ – ადგილზე უნდა ჩავიდე და შევიგრძნო. თუ ისეთი გამოდგება, როგორსაც ველი, მაშინ შეიძლება რაღაც გამოვიდეს“. შეიძლება ერასტ ფანდორინს საქართველოშიც გადახდეს თავგადასავალი. თუმცა, თვითონ თავი შეიკავა მომავალი ნაწარმოების დეტალების გამხელისგან, რადგანაც „ცრუმორწმუნეა“ და არ სურს წინასწარ საუბარი.

„ზესტაფონში დავიბადე და ჩემი ცხოვრების პირველი თვე იქ გავატარე, შემდეგ მოსკოვში წამიყვანეს და იქ გავიზარდე. ერთი რაა, რაც მოსკოვიდან საქართველოსთან მაკავშირებდა, ეს რუსებისთვის ჩემი გაუგებარი გვარი – ჩხარტიშვილი იყო, რომელიც ძალიან გამომარჩევდა და, ხშირ შემთხვევაში, მრისყვდა, ბულინგის მსხვერპლად მაქცევდა... მახსოვს როგორ მწავრდებდნენ სკოლაში და დამაკინებლად „კაცოს“ მეძახდნენ. მრავალი წლის შემდეგ კიდევ დამჩაგრა „რუსეთის მთავარმა ბულერმა“ ვლადიმერ პუტინმა, როცა ეთნიკური ქართველი მიწოდა და ამით რუსი ხალხის მტრად გამოამცხადა.“

ფსევდონიმის ალების მიზეზიც რთულად წარმოასაქმელი გვარი გახდა. ამბობს, რომ სკოლაში მასწავლებლებს ყოველთვის უჭირდათ მისი გვარის გამოთქმა და ამის გამო დაფასთანაც იშვიათად იძახებდნენ: „როცა მხატვრული ლიტერატურის წერა დაიწყო, დავრწმუნდი, რომ სიტყვებს, გვარებს, ტოპონიმებს დიდი მნიშვნელობა აქვს და გარკვეული მისტიკა ახლავს თან. ამიტომ სახელს, რომელსაც გამოვიყენებდი უფრო ღრმა (ვიდრე გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილი) მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ჩემი თბილისში ჩამოსვლაც, ნაწილობრივ, უკავშირდება ჩემს გვარსა და სახელს – მიწა, უფრო ჩავუღრმავდე და რაღაც ახალი ვისწავლო ჩემი თავის შესახებ, რაზეც ადრე არ მიფიქრია.“ მწერალმა არჩევანი აკუნინზე შეაჩერა, რაც იაპონურად „ცუდ კაცს“ – ბოროტმოქმედს ნიშნავს. მართალია აკუნინი შეიქცა, მაგრამ ამბობს, რომ საკუთარ თავს ცუდ ადამიანად არ მიიჩნევს, თუმცა დაინტერესებულია ბოროტი ადამიანებით, რადგან ძირითადად ისინი ქმნიან პრობლემებს მთელ სამყაროში და ამით ხდიან ცხოვრებას ძალიან საინტერესოს. „მიწა შევქმნა აკუნინების გალერეა. როცა ფანდორინის სერიის რომანებს კითხულობ, თქვენ სხვადასხვა ტიპის ბოროტმოქმედებს ნახავთ – ეს ჩემთვის ადამიანის ბუნების შეცნობაა. თითოეულ რომანში მთავარი მოქმედი პირი არა ფანდორინია (რომელიც არც კი იცვლება), არამედ მისი მონინააღმდეგე, რომელიც ყოველთვის საინტერესო და ქარიზმატულია, თავისი სათქმელი ყოველთვის აქვს.“

მწერალი ამბობს, რომ აკუნინი მისი მუწდირია, რომელსაც წერის დროს ირგებს, თუმცა ერჩივნა ანონიმად დარჩენილიყო ბოლომდე, ასე ბევრად უფრო კომფორტული იქნებოდა. მას შემდეგ, რაც ფარდა აეხადა ყველაფერს, „გადავწყვიტე ყურადღება აღარ მიმეცია არაფრისთვის და ჩემს წიგნში ერთ-ერთ პერსონაჟ პრინციპსა ჩხარტიშვილის გვარი აქვს, ამით საბოლოოდ მოვიწინააღმდეგე გვარს.“

დასასრულში, როცა გამოუცდელი ვიყავ და, ამავედროულად, ჩემი თავის ძალიან მჯეროდა, მეჩვენებოდა, რომ ძალიან იოლი იყო ლიტერატურული გმირის სახის შექმნა. განსაკუთრებით რუსულ ლიტერატურაში, სადაც ძალიან ცოტაა



სათავგადასავლო რომანები, იმდენად, რომ ბავშვობაში პრობლემატიკი გვექონდა, გვეთამაშა რომელიმე გმირი. ამიტომ ყოველთვის დარტანიანს ვირჩევდით, ან სხვა გმირს უცხოური ლიტერატურიდან. აბა, პავლე კორჩაგინს ხომ არ ვითამაშებდით, საბჭოთა გმირს, რომელიც პარალიზებული იწვა ლოკში. მოკლედ, ვერავის ვბაძავდით საბჭოთა ლიტერატურიდან. აქედან გამომდინარე, სულ მინდოდა, რუსულ ლიტერატურაში გაჩენილიყო ისეთი გმირი, რომელსაც ბიჭები მოიწონებდნენ და შეეცდებოდნენ, დამსგავსებოდნენ, შესაბამისად, გოგონები – ლიტერატურულ გმირ-გოგონებს. ამიტომაც გადავწყვიტე, მე თვითონ შემექმნა ასეთი სახასიათო ლიტერატურული გმირი. რუსული ლიტერატურა ყოველთვის მძიმე და სერიოზული იყო, ამიტომ თამაშის და გაართობის ელემენტების შემოტანა მსურდა. თავიდან ლერმონტოვის პეჩორინზე ვფიქრობდი, ასევე ტოლსტოის ბალკონსკიზე, ბულგაკოვის გმირებზეც. აღარ მახსოვს, კიდევ ვინ მომიძიოდა თავში ამ დროისთვის, ასე დავიწყე ჩემი რომანების წერა.“

ერასტ ფანდორინის ფორმულა ასეთია: „ის ჯუნზია (კონფუციური ცნებაა და ნიშნავს ღირსეულ, დიდგვაროვან ადამიანს), რომელზეც შეუძლებელია გარეშე ძალებმა ზეგავლენა მოახდინონ. მხოლოდ თავის შინაგან ხმას უსმენს და არასოდეს მიდის მის წინააღმდეგ. რეალურად, ეს არ არის სამურაის ტიპის პერსონაჟი, მაგრამ ფანდორინი სამურაი არ არის, რადგან სამურაის პრინციპია უსიტყვოდ ემსახუროს თავის ბატონს. ფანდორინი კი არავის ემსახურება. როგორც ვითხარით, ის არის ჯუნზი, რომელიც თავის გზას მიჰყვება. კარგი კარიერაც გაიკეთა, როგორც ოფიცერმა, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელმა, მაგრამ როგორც კი იგრძნობს, რომ შეიძლება მისი სამსახური მის შინაგან განწყობას შეეწინააღმდეგოს, უყოყმანოდ ტოვებს თანამდებობას. მისი მორა-ლიანი კომპასი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ის, სტატიკური გმირებისგან განსხვავებით, იცვლება, ბერდება და ა.შ. ფაქტობრივად, მინდოდა შემექმნა მოთხრობა ერთი ადამიანის ცხოვრების შესახებ, ჩემს ბოლო წიგნში ფანდორინი 58 წლისაა და განსხვავდება იმ ფანდორინისგან, რომელიც წლებს წინ შემოვიდა ლიტერატურაში.“

იაპონიით სრულიად შემთხვევით დაინტერესდა, გვიამბობს, რომ სკოლაში, მე-7 თუ მე-8 კლასში როცა სწავლობდა, გეოგრაფიის მასწავლებელმა მთელი მსოფლიოს ქვეყნები და ერები დაყო და მოსწავლეებს შესწავლა დაავალა. აკუნინს ტუნისი და იაპონია შეხვდა, რადგან ტუნისში საინტერესო არაფერი ხდებოდა, მთელი ყურადღება იაპონიაზე გადაიტანა. იმ დროს, 1970 წლის ნოემბერში, საბჭოთა პრესა ოიკოი მისი-მას – იაპონელი მწერლის თვითმკვლელობის ამბით იყო აჭრე-ლებული. „მაშინ, როცა ყოფიერების წინააღმდეგ აჯანყებული მწერალი, დამარცხების შემდეგ, სიცოცხლეს ხარაკირით ასრულებს, ჩვენ ყურებს ოქტომბრის რევოლუციაზე საუბრით გვიჭყვავდნენ. გინდ ხარაკირი გაგვეკეთებინა და რაც გინდა ის გექნა, საბჭოთა ნყობილების წინააღმდეგ ამბობი შეუძლებელი იყო. მივხვდი, რომ იაპონიაში ცოტა განსხვავებული სიტუაციაა, რამაც ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. შემდეგ წლებში უნივერსიტეტში დავიწყე იაპონური ენისა და კულტურის შესწავლა და, საბოლოოდ, ეს ინტერესი იმით დასრულდა, რომ სასწავლებლად იაპონიაში წავედი.“

იაპონიამ ბევრი რამ შესძინა, ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო რამ საკუთარი პიროვნების შესახებ სწორედ იქ აღმოაჩინა და პირველად, 21 წლის ასაკში, დაფიქრა საკუთარი ეთნიკური წარმოშობის შესახებ. იაპონიაში ყოფნის წლებს აკუნინმა გასხვივსენება უწოდა და რაც თავიდანვე თვალში მოხვდა, ეს იყო იაპონელების მიერ სილამაზის აღქმა – „მათგან გავიგე, რომ სილამაზე მარტივ რამეში უნდა



უხსავდარ მწერალთან

ვეძებოთ, რომ სილამაზე მართლაც სიმარტივეშია... მწერალთან შეხვედრაზე განსაკუთრებული ინტერესი ბორის აკუნინის ისტორიულ ჟანრზე მუშაობამ და რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებმა გამოიწვია.

ისტორიულ ჟანრზე მუშაობა 2011-2012 წლებში განვითარებული მოვლენების შემდეგ გადაწყვიტა. ამ წლებში, მოსკოვში, სამოქალაქო მოძრაობის წევრი იყო და ქვეყნის ლიბერალური ზღვებისა და დემოკრატიზაციის მოთხოვნით ხელისუფლების საწინააღმდეგოდ გამოდიოდა, თუმცა მოძრაობის მცდელობებმა უშედეგოდ ჩაიარა. მიაჩნია, რომ დღევანდელ პოლიტიკურ მოვლენებში მხოლოდ ვლადიმერ პუტინის დადანიშნულება სწორი არ არის, რეალური მიზეზის მოსაძებნად ისტორიის გადახედვა აუცილებელია.

„ისტორიის წერა იმდენად დაინტერესებს, რომ ვაჩვენო, რამდენი ტყუილი და ლეგენდაა მასში; რამდენი მითია შექმნილი რუსეთის ისტორიის ინტერპრეტაციისას. ისტორიის სწავლება რუსეთში ყოველთვის იდეოლოგიურად იყო დატვირთული. სწორედ ამიტომ გადაწყვიტე, გამეკეთებინა რაღაც ძალიან „არარუსული“. მიხდება, დამეწერა, რომ სიყვარული მხოლოდ კომპლიმენტის თქმა არ არის, სიყვარული დახმარების სურვილია.

ისტორიის წერის პროცესში მეც თავიდან ვივსო ყველაფერი, ჩემს მკითხველთან ერთად, მათთან ერთად გავდივარ ამ გზას. ვიცოდი, რომ ჩემი მკითხველი არ იქნებოდა ალფრედოვანებული მხოლოდ ისტორიის კრებულის კითხვით, სწორედ ამიტომ, ამ ნიგუნების პარალელურად, ვწერ მხატვრულ ნაწარმოებებს ამავე ისტორიულ პერიოდებზე და შემდეგ მათ ერთად გამოვცემ.

რუსეთის ისტორიის დაწერა გადამწყვეტინა 2011-12 წლების მოვლენებმა, სადაც მე თვითონაც ვმონაწილეობდი და ეს იყო სახალხო მოძრაობა დემოკრატიზაციისათვის, რომელიც ჩაფლავდა. მესმის, რომ ქვეყანაში მართლაც სერიოზული პრობლემებია, მაგრამ იმისთვის, რომ უმკურნალო, უნდა გაერკვე მის წყაროებში, ფესვებში. ალბათ, არასერიოზული იქნება, რომ ყველაფერი ერთ ადამიანს დავაბრალოთ, როგორც ზოგიერთ ოპოზიციონერს მიაჩნია რუსეთში. დიახ, ვლადიმერ პუტინი არ მიყვარს, მაგრამ არც იმას ვფიქრობ, რომ ყველაფერი მას უნდა დაბრალდეს, რაც რუსეთში ხდება. უკან რომ გადავიხედო, აღმოვაჩინე, რომ არც მხოლოდ კომუნისტები იმსახურებენ ბრალდებას, არც რომანოვების დინასტია და იმპერია, უფრო შორს და შორს მიწევდა წარსულში გახედვა. საბოლოოდ, გადაწყვიტე დასაწყისამდე მივიდე, იქამდე, როცა რუსეთის სახელმწიფო ჩამოყალიბდა. პროფესიით ისტორიკოსი ვარ, მაგრამ არაპროფესიონალი ისტორიკოსი. თუმცა, ვიტყვი, რომ დღეს მსოფლიოში ისეთი პროფესიონალი ისტორიკოსები, რომლებიც ერთი ქვეყნის მთლიან ისტორიას დაწერდნენ, არც არსებობენ. ისინი უფრო სპეციალიზირებული არიან ვინაშინ მონაკვეთებზე.

როცა რუსეთის ისტორიის წერა დაიწყო, იმ იდეით კი არ ვიყავი გატაცებული, რომ ახალ რამეს აღმოვაჩენდი, მინდოდა სტრუქტურული ზაცა, რომ სწორი აზრი გამოვეტანა და ლო-

გოცა დამენახა მასში. გარდა ამისა, რუსეთის ისტორიის ინტერპრეტაციაში უამრავი სიცრუე, ლეგენდა და მითია, რადგანაც რუსეთში ისტორია და ისტორიოგრაფია ყოველთვის იდეოლოგიზირებული იყო.

ჩემი აზრით, ისტორია ყველაზე მნიშვნელოვანი ცოდნა საზოგადოებისთვის, თუ არ იცნობ საკუთარ ისტორიას ან არასწორად გესმის იგი, ყოველთვის იმავი შეცდომას დაუშვებ. ამიტომაც მე ძალიან „არარუსული“ რამ მოვიმოქმედე და დავენივე ისტორიის წერა უემოციოდ, ცივი გონებით, დისტანციურად და რაციონალიზირებულად. ამან ბევრი ჩემი რუსი მკითხველი გააღვიძა და დანერგს, რუსეთი არ უყვარს, ისტორიას ცილს სწამებსო. მაგრამ სიყვარული არამხოლოდ კომპლიმენტის თქმაა, ეს არის რამდენიმე გაკეთების და დახმარების სურვილი. თუ დახმარება გინდა, აუცილებლად უნდა განასხვავო სიცრუე სიმართლისაგან. ყოველ შემთხვევაში, პატიოსანი უნდა იყო მკითხველთან.

რაც შეეხება მის აქტივიზმს ამბობს, რომ ამ ეტაპზე რუსეთში არაფერი შეიცვლება, ამიტომ ფიქრობს უმჯობესი იქნება, თუკი თავისი ნაშრომებით, ნაწარმოებებით შეეცდება იდეების ხალხამდე მიტანას, „ვზივარ, მაგრამ ბრძოლას ასე ვაგრძელებ“ – აცხადებს მწერალი.

დემოკრატიული მოძრაობის მარცხის მიზეზებს კი ასე ახსნიან: „რამდენიმე მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ არ ვაღიარებთ საპროტესტო ტალღამ რუსეთში: ქვეყნის მმართველი, რომელიც ძალიან შორსმჭვრეტელი არ გახლავთ, ბევრ შეცდომას უშვებს და, ალბათ, სავარაუდოდ, ძალიან ცუდად დაასრულებს თავის მოღვაწეობას. მას ჰქონდა შანსი, პოსტიდან მშვიდობიანად გადასდარიყო, ახლა ეს შანსიც დაკარგა იმდენად, რომ ქვეყანას, რომელიც ევოლუციას არ განიცდის და მხოლოდ რევოლუციურ განვითარებას მიიჩნევს სწორად, მომავალი არ უნერია. მას სწორედ მაშინ ჰქონდა საშუალება გაეკეთებინა სწორი არჩევანი და უარი თქვა ამაზე.

კიდევ ერთი მიზეზი ჩვენ ვიყავით – ცოტა ადამიანი ითხოვდა ცვლილებებს. საკმარისი არ აღმოჩნდა პროტესტში ჩართული ადამიანების რაოდენობა. როდესაც 60 000 ადამიანი გამოვიდა მოსკოვის ქუჩებში, ეს იყო ყველაზე მასშტაბური შეკრება, რაც ქალაქის მოსახლეობის 1%-იც არაა და ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ რეალური ცვლილებები მოჰყოლოდა ამ ყველაფერს.“

ქართული აუდიტორიის შეკითხვაზე, რას ფიქრობს 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ, პაუზობს, რომ 2008 წელს, საქართველო-რუსეთის შორის მომხდარი ომის მთავარი დამნაშავე რუსეთია და ამ მხარემ მომხდარზე პასუხისმგებლობის 90% უნდა აიღოს. აცხადებს, რომ რუსეთის ხელისუფლებას არქალღმთა შეხედულებები აქვს და არ იცის მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების წარმართვა. მისთვის უცნაურია, რატომ ქმნის რუსეთი მეზობელი ქვეყნებისგან მტრის ხატს.

„ფაქტობრივად, რუსეთმა ომამდე ორი წლით ადრე დაიწყო საქართველოს მიმართ აგრესია, როცა 2006 წლიდან, საქართველოს მოქალაქეების დეპორტირება მოახდინა. ეს იყო მახინჯი მოვლენა და საშინელი პროპაგანდა, რომელიც საქართვე-

ლოს წინააღმდეგ მიდიოდა. მე მაშინ უცებ მივხვდი, რომ მოსკოველი კი არა, ქართველი ვარ. ყურნაღმსიები კითხვებს მისვამდნენ და კომენტარს მოხოვდნენ, ტელეფონი არ ჩერდებოდა და ვაკეიზრე, იმიტომ, რომ მხარტიშვილი ვარ. ამ მოვლენებმა გაცილებით დიდი ზიანი მიაყენა რუსეთს და არა იმ ქვეყანას, რომელსაც ებრძოდა. საბოლოო ჯამში, ეს ომი, რა თქმა უნდა, იყო სისხლის სამართლის დანაშაული, მაგრამ არც საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკა მომწონდა.

რუსეთის პოლიტიკა ჯერ კიდევ არქალღმთა და წარმოუდგენლად მოძველებული, წარსულში ჩარჩენილი. ყველა მისი მეზობელი ქვეყანა, შიშითაა შეპყრობილი.

ახლა მე რუსეთისგან შორს ვცხოვრობ. ეს როგორც მწერლისთვის, რასაკვირველია კარგია, მაგრამ როგორც პიროვნებისთვის – ძალიან ცუდი, რადგან მენატრება ჩემი ქალაქი, მეგობრები, ქუჩები, სადაც მთელი ცხოვრება გავატარე, მაგრამ არ მინდა მივიდე წერტილამდე, როცა ჩემი საკუთარი ქვეყანა შემჯავრდება. არის ხოლმე დაოჯახებული წყვილების ცხოვრებაში მომენტები, როცა რამეში ეჭვი ეპარებათ და თავიანთი გრძობების დატესტვას იწყებენ. აი, ზუსტად ასეთ პერიოდში ვარ რუსეთთან დამოკიდებულებაში.

მე სამ ქვეყანაში ვიცხოვრე – ბრიტანეთში, საფრანგეთში, ესპანეთში. ამ სამკუთხედში ვიმოძრავე და ყოველთვის, სინქრონულად, სამ სხვადასხვა თვალსაზრისს ვეყრდნობოდი იმიტომ, რომ ყველა ქვეყანაში, სადაც ვცხოვრობდი, აღმოჩნდა, რომ საკმაოდ კომფორტულად ვგრძობდი თავს ჩემი მწერლური კარიერიდან გამომდინარე. აღმოვაჩინე, რომ ლონდონში არამხატვრული ლიტერატურის წერისთვის გაცილებით უფრო კომფორტული ვარვარა. კარლ მარქსმაც იქ დაწერა თავისი კაპიტალი, ალბათ ამიტომ. მერე მივხვდი, რომ შესანიშნავია გასართობი ლიტერატურის წერა ისეთ მზიან ქვეყანაში, როგორც ესპანეთია, იქ ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა თავისით გენერება. სერიოზული ლიტერატურის წერისთვის კი საფრანგეთია საუკეთესო ადგილი. ასე ვცხოვრობ – როცა ვილლები რუსეთის ისტორიაზე მუშაობისას, ვხურავ ლეპტოპს ვჯდება თვითმფრინვაში და მივდივარ სხვა ქვეყანაში. ამას ვაკეთებ მაშინაც კი, თუნდაც მასალა მზად მქონდეს, მაგიდაზე დაწყობილი, უცბად მივატოვებ ხოლმე ყველაფერს. ეს არის ძალიან ეფექტური მუშაობისთვის. მაგრამ მოსკოვი მენატრება...“

საქართველოში ბავშვობის მერე აღარ ყოფილა და ამბობს, რომ ძალიან აინტერესებდა, როგორი დახვედბოდა აქაურობა, რა შეიცვალა მას შემდეგ. საინტერესო და სასიამოვნოა მისთვის ქართველ ხალხთან გასაუბრება და ქართული ჰაერის შესუნთქვა. პიესის დაწერის იდეა, რომელიც მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ მოვიყვებოდა, თბილისის ქუჩებს მოატარებს. „ვფიქრობ, ეს ყოველივე ახალი წიგნის დაწერაში დამეხმარება“ – ამბობს მწერალი, ქართველი მკითხველი კი მართლაც მოუთმენლად დაელოდება მის შემდეგ ნაწარმოებებს, რომელიც, სავარაუდოდ, გამეფილი იქნება ხორცშესხმა იქნება. ჩემთვის კი ისიც საინტერესოა, წლების შემდეგ ნახვი ქვეყანა მწერლის წარმოსახვაში როგორი ლიტერატურის წერის ადგილად იქცევა.

ინფორმაცია

საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში VII საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი ჩატარდა, თემა – „საქართველო ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში“.

ლონისძიებას ესწრებოდნენ: თსუ-ს რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, უცხოელი



მეცნიერები ფილადელფიის, ბოსტონის, იერუსალიმის, ბირმინგემის, ტოკიოს, ვარშავის, თეირანის, ვენეციის, ფრანკფურტის, ბრემენის, იენის, ნიურნბერგის, მაინცის, პარიზის, მადრიდის, ინსბრუკის, მოსკოვის, კიევის, რიზეს უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო ცენტრებიდან, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებიდან.

სიმპოზიუმის ფარგლებში, მუშაობდა აკადემიური სექციები ქართველოლოგიური მეცნიერებების ყველა მიმართულებით: რუსთველი და რუსთველოლოგია; ივანე ჯავახიშვილი და ქართული ისტორიოგრაფია; ქართველური ენათმეცნიერება; შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურა; ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა; ქართულ-სახლგარეარეული ლიტერატურული ურთიერთობები; არქეოლოგია; საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური პერსპექტივები; ფოლკლორი; ეთნოლოგია; ქართული ფილოსოფიის ისტორია; ქართული ხელოვნება. ქართველმა და უცხოელმა მეცნიერ-მკვლევრებმა წაითხეს მოხსენებები.

სიმპოზიუმი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართველოლოგიის მხარდაჭერითა საერთაშორისო ასოციაციის მიერ, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

VII საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი 22 ოქტომბერს დასრულდა.

პროფესიული განათლების სპეციალისტების დაჯილდოება

სასტუმრო „ბილტმორში“ საერთაშორისო ლიდერობის პროგრამის მონაწილეების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. პროფესიული განათლების სპეციალისტები საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, მივლენილი იყვნენ გერმანიაში, მაგდებურგის უნივერსიტეტში, პროფესიული განათლების შესწავლის მიზნით. პროგრამის ფარგლებში, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, შეესწავლათ გერმანული დუალური პროფესიული განათლების პოლიტიკა, სწავლების მეთოდები და პროფესიული განათლებაში კურიკულუმის შექმნისა და მედიის გამოყენების სტრატეგიები.



გერმანია დუალური პროფესიული განათლების იმპორტიორი ქვეყანაა და მრავალი ევროპული და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ინტერესის სფეროს წარმოადგენს, პროფესიული განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით. ეკონომიკის მზარდი მაჩვენებელი და ახალგაზრდების უმუშევრობის დაბალი მაჩვენებელი სწორედ წარმატებული პროფესიული განათლების პოლიტიკის შედეგია. საქართველო პირველი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, რომელმაც დუალური პროფესიული განათლების დაწესება დაიწყო. ამგვარად ის ერთგვარი ინტერესის ობიექტია მეზობელი ქვეყნებისათვის, რათა დაწესებისას მიღებული გამოცდებმა გაიზიარონ. საერთაშორისო ორგანიზაცია GiZ, რომლის დაფინანსებითა და მხარდაჭერით საერთაშორისო პროფესიული განათლების პროგრამა განხორციელდა, მხარს უჭერს სამ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, ასევე კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიული განათლების პოლიტიკაში.

საქართველოდან პროგრამაში შვიდი მონაწილე იყო ჩართული, რომლებმაც, მაგდებურგის უნივერსიტეტის პროფესორებთან თანამშრომლობით, შეიმუშავეს ტრანსფერული პროექტები საქართველოში პროფესიული განათლების განვითარებისთვის. პროექტებს შორისაა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: პროფესიული მასწავლებლებისა და სასწავლებლების დირექტორების პროფესიული განვითარება, შეფასების მეთოდები დუალურ განათლებაში, ტურიზმისა და მედიკინის მიმართულებით დუალური პროფესიული განათლების დაწესება და სხვ.

წერილები ფრონტიდან

ჯარისკაცების თვალთი დახასიათებული ისტორია

მაკა ყიფიანი


ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი დოკუმენტური პროექტი – „მეორე მსოფლიო ომი ეპისტოლარულ ჟანრში“, რამდენიმე თვის წინ დაიწყო და თითქმის მთელი საქართველო მოიცავს. ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბაზაში – „ივერიელი“ უკვე უამრავი წერილი დაგროვდა და ყოველდღიურად, საქართველოს ყოველი კუთხიდან ახალ-ახალი ემატება. სათუთად შენახულმა გაცრეცილმა და გაყვითლებულმა სამკუთხა ბარათებმა, საოჯახო ალბომებმა, ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლეს. პროექტის ავტორებმა, უმძიმესი უახლესი ისტორიის მოსახიბრებმა, წერილები დღის სინათლეზე გამოიტანეს. თითოეული წერილის კითხვისას მკითხველის თვალწინ იშლება ჩვენი წინაპრების, ბაბუების და ბებიების ცხოვრებისეული ეპიზოდები, მაშინდელი საზოგადოება, ურთიერთობები, მონატრება, ტკივილი, ყოველდღიურობა და მოლოდინი, სულისშემძვრელი, სასიყვარულო ისტორიები... წერილები ფრონტიდან იმ დროზე ყველაფერს ყვება – ჯარისკაცები წერენ თუ რას ფიქრობდნენ, როგორ და რა პირობებში ცხოვრობდნენ, რა სურდათ, წერენ საკუთარ შვილებზე, ტყვილებზე, დაშორების სევდაზე, შიშზე... წერილებში კარგად ჩანს, როგორ ზრუნავენ ადამიანები ერთმანეთსა და ოჯახზე, როგორ უყვარდათ მაშინ საქართველოში... ისტორიები ძალიან ბევრია, თითოეული ჯარისკაცის ისტორია კი – ერთადერთი. ყოველი მოქალაქე თითო ასეთ ისტორიას ატარებს და სადაც, ომში დაკარგულ წინაპრებს ფიქრებში დღესაც ეძებს.

საქართველოში, დღესაც, თითქმის ყველა ოჯახში სათუთად ინახავენ წინაპართა დატოვებულ წერილებს, ნივთებს, ფოტოებს, რომლებსაც, ბუნებრივია, ყოველდღე არ ვკითხულობთ, არ ვხეხებთ. პროექტის განხორციელების მიზნები კი სწორედ ერთ-ერთი ასეთი წერილი გახდა:

„ჩემო ქვიანო ქეთუნია, შენ გენაცვალე, მოეფერე შვილებს და უფრო გაგიგონებენ. ხომ გაქვს გამოცდილება შვიდი-რვა წლის? ათი წლით არის ხალხი გადასახლებული და ოჯახი იტანს გაჭირვებას. შენც ჩემო ოქრო გოგო, იყავი შვილების ერთგული, ნუ გაუფარდები, გულს ნუ გაიხეთქავ და უფრო გაგიფრთხილებიან. ღმერთმა თუ არ გაგვნირა, ყველაფერი კარგად იქნება... მე ახლა ფრონტზე ვარ უკრაინაში, ხარკოვთან. იქნებ, მოახერხო პატარა სამსახური რაიმე და ნუ დამირღვევ ოჯახს! ვინ იცის, ჩემო ქვიანო ცოლო, იქნებ, არ გამწიროს ბუნებამ, დავიჭრე და ნამოვიდე. თუ ცოცხალი ჩამოვიდე, შენ არ დაგჩაგრავ, გენაცვალე, ჩემო ბავშვობიდან ამხანაგო, თუ შენთვის არ ვივარგებ, ჩემს შვილებს მაინც გამოვადგე. იქნებ! მე შენს სიყვარულს ტყვიის მოხვედრის შემდეგაც თან ჩავიტან სამარეში. სამარე მაინც თუ მეღიროსა, ფოლადად გადაიქცი, ქვასავით გამაგრდი“ – ამ წერილის ავტორი ომიდან შინ აღკ დაბრუნებულია.

ალბათ ვერც წარმოიდგენდა ახალგაზრდა ჯარისკაცი, მრავალი წლის შემდეგ, მისი წერილი საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებოდა და არაჩვეულებრივი პროექტის – „წერილები ფრონტიდან“ მიზეზი გახდებოდა.

მაია სიმონიშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურის





რის პროგრამების მთავარი სპეციალისტი, ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორი, პროექტის ინიციატორი: „ერთ დღეს, დეიდაჩემს, ლიტერატურათმცოდნესა და ჟურნალისტს, ციური ხეთერეს ვესტუმრე, მან მამის, კარლოს წერილები გამომიტანა. ბუნებრივია, საკუთარი ბაბუის წერილები ადრეც წამიკითხავს, მაგრამ ამჯერად ჩემთვის საინტერესო იყო იმ პერიოდის საზოგადოებრივი ღირებულებები. საინტერესო აღმოჩენა იყო ჩემთვის, რომ მიუხედავად გამოვლილი რევოლუციებისა, ახლობლების რეპრესიებისა და ომისა, ბაბუის წერილებში აბსოლუტურად ლიბერალური ღირებულებები დგას წინა პლანზე, წერილებში გაცილებით მეტი თანასწორობა და თავისუფლება იგრძნობა, ვიდრე ეს დღეს არის. პირად წერილებში კარგად ჩანს, თუ რა ხდებოდა მაშინდელ ოჯახებში. ბაბუა ყოველ წერილში წერს: არ ეჩხუბოთ ბავშვებს, არ ცემოთ ისინი, თბილად მოექეცით მათ... სასიყვარულო წერილებთან ერთად, ბაბუა ომის წარმოებას, ბრძოლებს, ჯარისკაცთა კვებას და სხვა საკითხებს ცალკე იწერდა. გადაწყვიტე წერილები ოჯახური არქივიდან ფოტოებთან ერთად სოციალურ ქსელში ამეტივრთა, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბუნებრივია, ამის შემდეგ, გამიჩნდა იდეა ომისდროინდელი წერილების შეგროვების. ჩემი ინიციატივა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორს, ემზარ ჯგერენაიას გავაცანი და ახალი პროექტი – „წერილები ფრონტიდან“ დაიწყო.“

სიკვდილის მოლოდინში მყოფი ჯარისკაცები უფრო ლიად, თვითცნებურად გაჩნდნენ, რა ანუხებდათ და რა აფიქრებდათ: „თუ ტყვიამ არ მიმსხვერპლა, ყველაფერს ავიტან თქვენთვის ჩემო სულის სწორო ცოლ-შვილო, ცეცხლზე რომ დამწვან, არ შეუშინდები, ვარ ისეთ პირობებში, რაც კინოში გინახავს, მაგრამ არაფერია, ოღონდ თქვენს ნახვას ვეღიროსო. ოღონდ თქვენთან მოვალნიო და არ დავშურავ არავითარ გამძლეობას ჩემო ქეთუნია“.

აღსანიშნავია, რომ გამოგზავნილი წერილების ავტორთა უმრავლესობა დაკარგულად ითვლება. ახლობლებისთვის განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა დაკარგული მებრძოლების თემა. დაინტერესდები, სადმე თუ არსებობდა დაკარგულად ცნობილი და მოგვიანებით ნაპოვნი ჯარისკაცების უცნობი მონაცემები. ჩვენი ვარაუდი გამართლდა, აღმოჩნდა, 5000 დაკარგულად ცნობილი, მაგრამ საჯარიმო ბატალიონებში დაკარგული ჯარისკაცების უახლესი სია. ამ სიაზე საბჭოთა კავშირიდან გაქცეულმა ემიგრანტმა, მაკარ ტონინამ იზრუნა. თავად მაკარ ტონინი ჯერ კიდევ საფრანგეთში დასახლებულ ექვსდა მამას, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა. აღმოჩნდა, რომ დაკარგულად გამოცხადებული მამა საჯარიმო ბატალიონში დაიღუპა, კონკრეტულ დროს და კონკრეტულ ადგილას. უკვე ემიგრაციაში მყოფმა მაკარ ტონინამ, მამის ხსოვნის პატივსაცემად და ქართველებისადმი მადლიერების ნიშნად (საფრანგეთში მცხოვრები ემიგრანტი ყოველთვის იხსენებს, როგორ აჩუქეს ქართველებმა თავისუფლება), საქართველოდან წასული, დაკარგული ჯარისკაცების მოძიება და ცალკე სიის შექმნა დაიწყო. როგორც ცნობილია, უკვე მზადდება საბოლოო სია, სადაც მითითებულია არა მხოლოდ საქართველოდან ომში წასული ჯარისკაცების გვარები, დაღუპვის დრო და ადგილი, არამედ ჯარისკაცების მშობლების, მეუღლეების და ახლობლების ვინაობაც. დღესათვის სიაში 5000-ზე მეტი ჯარისკაცის გვარია, ბევრად მეტის სია მზადდება. სიების ქართულ მონაცემებთან შედარებასა და დაზუსტებაზე ბატონი ირაკლი მირიანაშვილი მუშაობს. ამ სიის ნახვა, ისევე როგორც წერილების, დაინტერესებულ პირებს ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე შეუძლიათ.

ემზარ ჯგერენაია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი, პროექტის ინიციატორი: „პირველ რიგში, პროექტი – „წერილები ფრონტიდან“ საინტერესოა მკვლევრებისთვის. ჩვენი კულტურა არ გამოირჩევა მდიდრული დოკუმენტური მასალით. ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ლიტერატურული თუ ისტორიული დოკუმენტი გვაქვს დაკარგული, რაც ჩვენ კულტურას აკლია. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ის თაობა, რომელიც ამ წერილებს ავზავინდა, უკვე მიდის, თანაც ეს უნარი დავინაწილებს ეძლევა, იკარგება. მოგხსენებათ, აღარავინ წერს წერილებს ქალაქში და ადრესატს არ უგზავნის. ამისთვის არსებობს სოციალური ქსელები და რა თქმა უნდა, ეს კარგი შესაძლებლობაა. პროექტი საშუალებას გვაძლევს წერილების მეშვეობით სულ სხვა, ახალი ისტორია დავინახოთ, ისტორია იმ ადამიანების პოზიციიდან, რომლებიც უშუალოდ ამ ომში იყვნენ ჩართულები.“

ჩემი თაობის ადამიანებმა ვიცოდით მეორე მსოფლიო ომის ისტორიის მხოლოდ ერთი ვერსია, რომელსაც კომუნისტური პარტია, ამ პარტიის წარმომადგენლები და თავად სახელმწიფო წერდა. ეს, რა თქმა უნდა, პოსტსაბჭოთა ადამიანის დიდი პრობლემაა. ჩვენ არ ვიცოდით მეორე მსოფლიო ომის დასავლური ვერსია, როგორი იყო დასავლური ისტორიკოსების შეფასება. ჩვენ ახლა, ამ დროში ვცნობით და ვიგებთ, რომ კონკრეტულ ფაქტებზე, თურმე, არსებობს სხვა ვერსია, სხვა ისტორია. ამ დოკუმენტების, წერილების კორპუსი გვჭირდება იმისთვის, რომ კარგად გავიგოთ სხვა თვალსაზრისი, თუ როგორ ხედავენ ადამიანები საკუთარი პერსპექტივიდან სამყაროს, ომს, ოჯახს, სიყვარულს, ურთიერთობებს... ჩვენ არ ვიცით ჯარისკაცების ყოველდღიურობა, მათი ხედვა, განცდები, როგორი იყო მათი სამყარო, რომელშიც ცხოვრობდნენ, მეორე მსოფლიო ომის ის დეტალები, ის მხარე, რომელშიც ჯარისკაცები მონაწილეობდნენ... ძალიან საინტერესოა ჯარისკაცების მიერ დანახული ისტორია. ამ წერილებში ეს ყველაფერი ძალიან კარგად ჩანს. სულისშემძვრელი ისტორიები, ცოცხა მათგან-



ნია საბჭოთა პათეტიკით სავსე, საბჭოთა სამშობლოსთვის, საბჭოთა პატრიოტიზმისთვის. საქართველოში ჯარისკაცების ისტორია ჯერ არავის შეუსწავლია, არადა ასეთი წერილების საფუძველზე შესაძლებელია ტომეულები, ფუნდამენტური პრობები და კვლევები დაიდოს. ეს წერილები უახლესი ისტორიის კვლევისთვის საინტერესო დოკუმენტებს წარმოადგენენ. პროექტი კარგი საშუალებაა იმისა, რომ სხვა თვალსაზრისით მოვახდინოთ ისტორიის რეკონსტრუქცია.

მაგალითად, მეოცე საუკუნის ოციან წლებში, ორმა ავტორმა ჩატარა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი კვლევა სახელწოდებით „პოლონელი გლეხები ვეროპასა და ამერიკაში“. მოიპოვეს პოლონელი გლეხების წერილები, მიმოწერის საფუძველზე შეისწავლეს ეს წერილები, პრაქტიკულად აღადგინეს მათი ყოფა-ცხოვრება, შეფასებები, ღირებულებები, რაც ამ ადამიანებს ჰქონდათ, მათი სამყარო და ფანტასტიკური ნაშრომი შექმნეს, რომელიც დღეს კლასიკად ითვლება.

სწორედ ამ შეგროვებული წერილების საფუძველზე ვაპირებთ მოვაშალოთ კრებული და შევქმნათ მონაცემთა ბაზა. კრებულისთვის წერილებს დაეყვინათ თემატურად: რომანტიკული, სასიყვარულო, ტრაგიკული და ა. შ.“

აღსანიშნავია, რომ პროექტმა „წერილები ფრონტიდან“ ავტორებს ახალი პროექტის დაწყების საშუალება მისცა. ვისაც სახლში ჯერ კიდევ მოგეპოვებათ ხელნაწერი წერილები, ამჯერად მშვიდობის პერიოდში დაწერილი და ფიქრობთ, რომ მათ ისტორიული მნიშვნელობა აქვს ან კვლევებისთვის საინტერესო იქნება, შეგიძლიათ მიანოდოთ ეროვნული ბიბლიოთეკას (გუდიაშვილის 7, ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსი, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება).

პროექტი „წერილები ფრონტიდან“ გრძელდება და ჯარისკაცების სამკუთხა ბარათებს ელის. ავტორები ელიან ნებისმიერი ომიდან გამოგზავნილ წერილებს, რომლებშიც ჩვენი წინაპრები მონაწილეობდნენ.



პროფესიონალთა კლასი

რუღუნებით განვლილი გზა

სწავლა-განათლება ერის კეთილდღეობის ბურჯია; ერთი არაბული გამოთქმაა: „სწავლული თავის სამშობლოში – მალაროში ჩაფლული ოქროა“.

როდესაც ადამიანს ხელს უწყობს ნიჭიერება და მას ემატება შექმნილი ცოდნა, ასეთი ადამიანები ერისა და ქვეყნის საგანძურია. სწავლა და ცოდნის მიღება კი მასწავლებლის გარეშე წარმოუდგენელია. პედაგოგი, პირველ რიგში, თვითონ უნდა იყოს განსწავლული, ჰქონდეს ფართო საერთო განათლება, არ იფარგლებოდეს ვინრო სპეციალობით, რომ შეძლოს დააკმაყოფილოს ბავშვის ცნობისმოყვარეობა, რომელიც ცოდნის სამყაროში ფეხის შედგმისთანავე უჩნდება.

ჩვენს ქვეყანას უამრავი სახელოვანი პედაგოგი ჰყავდა და ჰყავს დღესაც, რომელნიც თავიანთ ცოდნას პირნათლად გადასცემენ მომავალ თაობას. თუმცა რა გასაკვირია, რომ გოგებაშვილის სამშობლოში ბევრი კარგი, გამორჩეული პედაგოგი იყოს. ახლაც დიდი სიყვარულით ვისხენებ ჩემს პედაგოგებს, რომლებიც ერთიმეორეზე უკეთესები და სამაგალითო იყვნენ ჩვენთვის. განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნო ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი დესიკო უდენტი, საგნის არაჩვეულებრივი მცოდნე, დახვეწილი ინტელიგენტი. თუ მე წლების განმავლობაში უურანლისტიკაში ვსაქმიანობ და რამდენიმე წიგნის ავტორი ვარ, ეს მისი დამსახურებაა. ნათელში იყოს მისი სული.

ურთიკო არ იქნება, რომ ზოგჯერ ჩვენი ძვირფასი, ნაამაგარი პედაგოგების მიერ განვლილი გზა გავისხენოთ, აღვნიშნოთ მათი ღვაწლი, რათა მომავალმა თაობამ იცოდეს, რა წინაპრები გვყავდა და როგორ იღვწოდნენ ისინი ახალგაზრდების სწორად აღზრდისათვის.

ამჯერად, თქვენი ყურადღება მიმდა შევაჩერო ერთ-ერთ დამსახურებულ, შესანიშნავ პედაგოგზე, რომელმაც წლების განმავლობაში იღვწა პედაგოგიურ სარბიელზე და თვალსაჩინო კვალიც დატოვა. ელიკო თავდუშაძე – დაიბადა ოზურგეთში, პედაგოგების ოჯახში (დედა – დანყებთი სკოლის პედაგოგი, მამა – ისტორიკოსი). უკვე დაოჯახებული და ტყუპი გოგონების

დედა იყო, როდესაც პედაგოგიურ ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩააბარა, ბიოლოგიის ფაკულტეტზე. პარალელურად, მუშაობდა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო კვლევით ინსტიტუტში, მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის განყოფილებაში. 1974 წლიდან კი პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა ოზურგეთის №1 საჯარო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად. ქალბატონი ელიკო, ოცდახუთი წლის განმავლობაში, რაიონის მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი იყო, არის ოთხი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელიც გამოქვეყნებულია საკავშირო ჟურნალ „სუბტროპიკულ კულტურებში“. აქედან ორი ნაშრომი ეხება პედაგოგიური გამოცდილების გაზიარებას. არ ჩატარებულა არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიეღო თავის მოსწავლეებთან ერთად. ასეთი იყო, მაგალითად, საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც გარემოს დაცვას ეხებოდა, სადაც მან წარმოადგინა შესანიშნავი თემა – „გარემოს დაცვა ჩვენი უპირველესი ვალდებულებაა“; ქალბატონი ელიკოს მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობდნენ კონფერენციებში და ყოველთვის ჯილდოვდებოდნენ I და II ხარისხის დიპლომებით; მან გაიარა ტესტირება, სადაც მაღალი ქულები დაიმსახურა და მიიღო უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება. განათლების სამინისტრომ დააჯილდოვა „წარჩინებულის სამკერდე ნიშნით“ და მიენიჭა „უფროსი მასწავლებლის“ წოდება. ქალბატონი ელიკო ინტენსიურად მონაწილეობდა სასკოლო პროექტებში. ერთ-ერთი ასეთი პროექტის ფარგლებში, მან თორმეტი ვიდეოგაკვეთილი ჩაატარა და გამარჯვებულად გამოცხადდა. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად მოამზადა პროექტი „უმცირესობიდან უმრავლესობისკენ“, რაც ფულადი ჯილდოთი აღინიშნა.

უკვე რვა წელია მიმდინარეობს გერმანია-საქართველოს ერთობლივი პროექტი „კლასის ფრინველთა საათი“. პროექტში, მოსწავლეებთან ერთად, ჩაერთო ქალბატონი ელიკო და დაჯილდოვდა სერტიფიკატით. პროექტის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ ქართულ და გერმანულ ენებზე გამოვიდა წიგნი „ჩემი თვალთ დანახული გარემო“, სადაც მოხსენი-



ებულება ქალბატონი ელიკო თავის მოსწავლეებთან ერთად. ქალბატონი ელიკო დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა საზოგადოებაში, სკოლის პედაგოგებიც და მოსწავლეთა შორის. ასეა დღემდე. იგი ყოველთვის იყო თავისი აღსაზრდელების არა მარტო პედაგოგი, არამედ დიდი მეგობარიც. ზედმინეებით იცოდა თითოეულის ტკივილი და სიხარული, ამიტომაც უყვარდათ მოსწავლეებს. ქალბატონი ელიკო 76 წლისაა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გაუჭირდა სკოლასთან და მოსწავლეებთან დაშორება, საჭიროდ ჩათვალა გზა დაეთმო და დაელოცა ახალგაზრდა პედაგოგებისთვის, სულით და გულით სწავლია, მის მიერ გაკვალული გზა ღირსეულად გაიაროს მისმა შემცველმა თაობამ. ამადგარი პედაგოგი ღირსეულად გააცილა მშობლიურმა სკოლამ. დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა ვუსურვოთ თავის ოჯახთან ერთად.

მარინე ნაზირიძე

სასკოლო აქტივობა

შოთა რუსთაველი – 850



„850 წელი აშორებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ჩვენსან, ერის ისტორიაში დიდი წიგნის გაჩენა დიდი თავდაცვითი ბრძოლის მოგებას ნიშნავს, უფრო მეტიც, მერვე იგი მუდამ გამარჯვების სანიღრად და იმედოდ რჩება... ხშირად, ერის სულიერი სახის შესანახად და შესამტკიცებლად, წიგნი უფრო საჭიროა, ვიდრე მუზარადი... მკაფიო სტრიქონი, ვიდრე შუბი... მოწოდებრივი, ფეთქვადი აზრი, ვიდრე – გუნდი ლაშქრისა! ხოლო წიგნისეული გმირები სამშობლოს დასაცავ ზღვართან ისტორიული გმირების პირველ წლებში დგანან.“

ლევან გოთუა



სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის თაბაგრების საჯარო სკოლაში, (დირექტორი – ეთერ გურული) ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე დაიგეგმა და ჩატარდა შოთა რუსთაველის 850 წლისადმი მიძღვნილი კვირეული, რომელშიც მთელი სკოლა მონაწილეობდა, თუმცა განსაკუთრებული აქტიურობით მეთერთმეტეკლასელები გამოირჩეოდნენ, რადგან ისინი ახლა გადიან „ვეფხისტყაოსანს“.

კვირის ყოველი დღე სხვადასხვა ღონისძიებებით იყო დატვირთული. „ვხატავთ ვეფხისტყაოსნის სამყაროს“ – ასეთი იყო პირველი დღის პროგრამა, სადაც რამდენიმე მონაწილეთაგან ორი XI კლასელის ნამუშევარმა განსაკუთრებული მონაწილეობა დაიმსახურა. დიანა კენჭოშვილი და ლანა კენჭოშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ მთელი დღის განმავლობაში, VI-XII კლასებში, სადაც კი ქართულის გაკვეთილი ჩატარდა, რუსთაველის უკვდავი სტრიქონები ისმოდა;



საგანგებოდ კვირეულისთვის მომზადებული თემების პრეზენტაცია, მეთერთმეტეკლასელებმა, მესამე დღეს მოაწვეეს: „რუსთაველი და მისი პოემა“ – თამთა თაბაგარი, ლანა კენჭოშვილი; „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და გამოცემები – დიანა კენჭოშვილი, კობა ლულუნიშვილი; „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები – თეკლა კენჭოშვილი, ზაზა გელბახიანი; „ვეფხისტყაოსნის“ რელიგიური-ფილოსოფიური სამყარო – თეა გოგსაძე, თეა კენჭოშვილი. ასევე საინტერესო იყო კალიგრაფიის კონკურსი, რომელშიც დიდი ენთუზიაზმით ჩაერთვნენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, თუმცა საუკეთესოთა შორის საუკეთესოები აქაც გამოვარჩიეთ – ჰაატა სამყურაშვილი (VIII კლასი) და დიანა კენჭოშვილი (XI კლასი).



კვირეულის მომზადებაში, ჩემთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული სკოლის ქართულის მასწავლებელი მაგალიტა არჩვაძე. ჩვენმა მოსწავლეებმა არა მარტო განმტკიცეს ცოდნა კვირეულის მეშვეობით, არამედ მთელი სკოლა ამოგზაურეს „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროში, რითაც რამდენიმე დაუვინყარი დღე აჩუქეს თაბაგრების სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, მოსწავლეებსა თუ მათ მშობლებს.

თამარ კვანტაძე

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის თაბაგრების საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



სპორტი

ბაქოში მოქმედი როზანი



ბაქოში დასრულდა ორი საერთაშორისო ტურნირი 18-წლამდე...

ერთი სიტყვით, ბაქოში პირველ ტურნირში ქართველთა წინააღმდეგ...

გოგონებში პირად პირველობაში დალაქიშვილს ცოტა დააკლდა...

ერთი სიტყვით, ჩვენი ახალგაზრდა ჩოგბურთელები მეზობელ ქვეყანაში...

ლეგენდების დასაფასებლად

22-23 ოქტომბერს საქართველომ ორი დიდი მოჭიდავის სახელობის...

ორივე შეჯიბრებაში უცხოელთაგან აზერბაიჯანის, სომხეთის და რუსეთის გუნდები ჩამოვიდნენ...

ლეს, მაგრამ პრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ჩვენი ორივე ნაკრებისთვის - ჭაბუკებისთვისაც და ახალგაზრდებისთვისაც...

თბილისში ჩემპიონები გახდნენ: აჭარის გუნდის წევრი არჩილ ბოლქვაძე (38 კგ)...

როგორც ვითხარით, ონში ყველა წონაში ქართველებმა გამარჯვებაც...



სტაბილური ხუსიბერიძე

16 წლის ქუთაისელი ტყვიის მსროლელი ნინო ხუსიბერიძე აგრძელებს...

სამაგეროდ, ამ სტაბილურობის შენარჩუნებას ვერ ახერხებს მთელი...

რადგან ლიცენზიისთვის საბრძოლველად ამზადდნენ, მომდევნო წლებში...

თელავში ჩვენი სხვა პერსპექტიული ახალგაზრდებიდან თბილისელი ქეთი შედანიას...

ახალი დარბაზები და ახალი არჩევანი ბავშვებს

ამ დღეებში თბილისში, მუხიანში მდებარე 175-ე საჯარო სკოლასთან...

ზოგადად, ძიუდოს ფედერაციისთვის ახალი ბავშვის შექმნა ერთ-ერთი...

მართალია, მუხიანის დარბაზის გარდა, ამ ბავშვის უმეტესობა...



რუბრიკა მოამზადა ირაკლი თაბაძემ



მიმდინარეობს ხელმოწერა

თავარ პერიტივი  
აქირან გორბრედი

**ტუსტაი**

ქართულ ლიტერატურაში  
**საბუნებარო  
გამოსცდისათვის**

წიგნი I

- ზუბანიკის ნაგება
- აპო თიბილისის ნაგება
- ბრიგოლ ხანთელის ცხოვრება
- სიზრდის სიმართლისა
- ღაბრიათიანი

წიგნი I  
ქველი ქართული  
მხარეობა

თავარ პერიტივი  
აქირან გორბრედი

**ტუსტაი**

ქართულ ლიტერატურაში  
**საბუნებარო  
გამოსცდისათვის**

წიგნი II

**შოთა რუსთაველი  
ვეფხისტყაოსანი**

წიგნი II  
„ვეფხისტყაოსანი“

თავარ პერიტივი  
აქირან გორბრედი

**ტუსტაი**

ქართულ ლიტერატურაში  
**საბუნებარო  
გამოსცდისათვის**

წიგნი III

- ბრიგოლ ორბელიანი
- ნიკოლოზ ბარათაშვილი
- ილია ჭავჭავაძე
- აკაკი წერეთელი
- ალექსანდრე ყაზვავი
- ვაჟა ფშაველა

წიგნი III  
XIX საუკუნის მხარეობა

თავარ პერიტივი  
აქირან გორბრედი

**ტუსტაი**

ქართულ ლიტერატურაში  
**საბუნებარო  
გამოსცდისათვის**

წიგნი IV

XX საუკუნის მხარეობა


- მამია კვიციანი
- ნიკოლოზ ბარათაშვილი
- ილია ჭავჭავაძე
- აკაკი წერეთელი
- ალექსანდრე ყაზვავი
- ვაჟა ფშაველა

წიგნი IV  
XX საუკუნის მხარეობა


თითო ტომის ფასი - 12 ლარი

საყვანილო ენციკლოპედია  
რა არის რა

თითო ტომის ფასი - 9 ლარი



ენციკლოპედია



უძველესი ადამიანი



აზიანდი



არქიტექტურა



კრიმინალისტიკა



ჯანსაღი კვება



მთავი



ოლიმპიური თამაშები



მემორიალები



ქიმიკა



ხალხთა ღიღი გადასახლება



მშენებარეობა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:  
 მიმღები - შპს „ახალი განათლება“,  
 ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,  
 ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22  
 ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა,  
 თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი



მასწავლებლის გიგლიოთაქა

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლებლის მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და გუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6,50 ლარი


მასწავლებლის სამუშაო რეგული



მასწავლებლის სამუშაო რეგული უორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რეგულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:  
 1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;  
 2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;  
 3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გაგების უორტფოლიო



კათედრის გაგების უორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გაგებს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სწავლება. შესაბამისი სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, უორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს უორტფოლიოს წარმოებაში და მისი საგნის სწავლების განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების ქრებული



კრებულში აღწერილია ინტერაქტიური სწავლების მეთოდები; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი



2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია დაეხმარებოდეს მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, კვლევით და მეთოდურ ინფორმაციას. კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავლები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეგისტრირების და თანხმობის ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ინფორმაცია



# თანამშრომლობის მემორანდუმი „ეტალონთან“

ცოდნის დონის ამაღლებისა და მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროსა და მედიკალინური უნივერსიტეტის „ეტალონს“ შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ და „ეტალონის“ ავტორმა გოჩა ტყეშელაშვილმა მოაწერეს.

მემორანდუმის ფარგლებში, მხარეებს შორის აქტიური თანამშრომლობა იგეგმება, რათა ცოდნის შექმნისა და ლოგიკური აზროვნების განვითარების მი-

მართულებით, ინტელექტუალური შეჯიბრის – „ეტალონის“ – საშუალებით მოხდეს მოსწავლეთა დანტერესება და მოტივაციის ამაღლება.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტრო პროექტის წარმომადგენლებს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რესურსცენტრების ინფორმირებაში, რომ მათ საჯარო სკოლებს მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია დროულად მიიწოდონ და საქართველოს ყველა სკოლაში გაავრცელონ.

## დიდი შესვენება

წარმატებით დაიწყო და გრძელდება მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ (ფესტივალის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი – ქეთი დოლიძე). 21 ოქტომბერს გრიბოედოვის თეატრის სცენაზე წარმოდგენილ იქნა მესხეთის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „დიდი შესვენება“ (თემურ ჩხეიძის სახელოსნოს და სამეფო უბნის თეატრის ერთობლივი პროექტი). პიესის ავტორია **დათა ფირცხალავა**, რეჟისორი და მუსიკალური გამორმებელი – **ვანო ხუციშვილი**, მონაწილეობდნენ: **ლიაკო გოგიძე**, **ბაქარ ალაფიძე**, **მანუჩარ გოგოლაური**, **ანდრია ვაჭრიძე**, **ბექა კულიჯანაშვილი** და **ლექსო ჩეჩია**.

სპექტაკლის გამირები, სკოლის დამთავრებიდან 15 წლის შემდეგ, შეიკრიბებიან თა-

ვიანთ საკლასო ოთახში და შეეცდებიან წარსულის გახსენება-დავიწყებას. საკლასო ოთახში გაშლილ სუფრასთან აღმოაჩენენ, რომ მეცხრე კლასში, ერთ-ერთი კლასელის მიმართ მათ მიერ ჩადენილმა სისასტიკემ, წლების შემდეგ, ის ინვალიდის ეტლს მიაჯაჭვა და მთელი ცხოვრება დაუნგრია. მკითხველს ინტრიგა რომ შევეუნარწუნოთ, თავს შევიკავებთ და აღარ გვიამბობთ, თუ როგორ გამოვლენ სპექტაკლის გამირები შექმნილი სიტუაციიდან.

ვფიქრობთ, სპექტაკლის ნახვა და დისკუსიები პრობლემის ირგვლივ, საინტერესო იქნება განათლების სისტემაში ჩართული სპეციალისტებისთვის, მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის.

რეზა თოფურია



## ქართული ენის კრებულები



**აწილი I-III**  
**აწილი IV-VI**  
**აწილი VII-VIII**

აწილი I-III  
**ქართული ენა**  
 გრამატიკა და მართლწერა

აწილი IV-VI  
**ქართული ენა**  
 გრამატიკა და მართლწერა

აწილი VII-VIII  
**ქართული ენა**  
 გრამატიკა და მართლწერა

## ნაძვირი და მომონი ნაბაზი

საჩუქარი „ნაძვირი და მომონი ნაბაზი“ **შაქინი I-VI** კლასების **მოსწავლეებისთვის**, „**კითხვის სათის**“ სასიყვირის **ათვალისწინებით**. **წიგნაზი მოსაზარია: სხანისო აჭიკოზაზი, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის უსაზარისი ჯნით დაწარინი საზაზაზი ბაქსაზი, რაჲ და-ახარაზა კანის დაწარინაზა თა შომოზაზს, მავნითაროზ გაზაზაზს წარის, კითხვისა და მავნიკაზის ჯნარ-რავაზი.**



წიგნის თარი

## მოკაზაზით საბასბაზი მავოცდაზისთვის

კრებულში **უსაზი** აწიგნაზით **ათვალისწინაზი თაროკილი მასა** და **ბასბაზი**. **მასაზაზი ჯნის კაზა მთაზსაზი ჯნისაზი კოლი**. **ას კოლი უნიკაზით სასიკაზარ აზიკაზი, როკიცი მათაზსაზი მავოცდაზის მოსიკაზარ Facebook მავრეზა**

[fb.com/bakursulakauripublishing](https://fb.com/bakursulakauripublishing)

აწილი კოლის **მავოკაზაზა** **უა-ჯიკილი მხოლოე აწილი მომსარა-ზაზს**. **კაზაწიგნაზი ბასბაზი უა-ნიკაზა რავაროთ როკოკაზ თა-ვანის მისაზი, ასაზა უარა-კაზ.**

აწილი **მავოცდაზი მასა** **აწილი წიგნის მისაზი და მავრე-კაზი საბასბაზი მავოცდაზის სი-ჯიკილი სასაზი!**

